ცალკე ნომერი 5 კაპ.

# გრიგალი

თფილისი

სამშაბათი, 19 (2) სექტემბერი.

1906

წელიწადი პირველი

სამხედრო-საველე სასამართლომ სიკვდილით დასაჯა გადაუწყვეტა 19 მატროსს კრონშტადტის აჯანყებაში მონაწილეობისათვის.—ბაქოში სამხედრო-საველე სასამართლო შემოიღეს.—პეტერბურგის დეპეშათა სააგენტო წინადადებას აძლევს თავის კორესპონდენტებს მთავრობისათვის სასიამოვნო ამბები გზავნეთო.—ჰელსინფორსში სოციალისტთა პარტიის დემონსტრაცია გაუმართავთ მილიტარიზმის წინააღმდეგ, მოხდა შეტაკება.

№ 8 ყოველ-დღიური გაზეთი. № 8

8 სექტემბრიდან ქ. თფილისში გამოდის ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „გრიგალი“

ხელის-მოწერა მიიღება **მხოლოდ რედაქციის კანტორაში**—კრასნოგორის ქუჩაზე, სახლი № 3—დილის 10—2 საათ., საღამოს 5—7 საათ. კვირა უქმე დღეებში კი 10—12 საათამდე.

**გაზეთის ფასი:** ერთი თვით—ქალაქში 75 კ., პროვინციაში—90 კ., წლის ბოლომდის 2 მ. 50 კ.

რედაქცია დაუბეჭდავ წერილებს არ ინახავს, თუ ავტორი განსაკუთრებით ამას არ ითხოვს; წერილობითი პასუხისათვის საჭიროა 7 კაპ მარკა.

დაუბეჭდავი წერილების და სხვა სარედაქციო საქმეების შესახებ მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, დილის 11—1 საათამდე, საღამოს 6—7 საათ., კვირა-უქმეობით 11—12 საათ.

განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე სტრიქონი პეტიტით ღირს 15 კ., მეოთხე გვერდზე სტრიქონი 10 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „ГРИГАЛИ“.

**სოლომონ ვადაჭკორია, ოლინკა გეგეშიძისა და ახალო ვადაჭკორია** ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს და ნაცნობებს გარდაცვალებას პირველი მეუღლისა, მეორე—ქალიშვილისა და მესამე—ძლისას

### ბაიანე ვადაჭკორიასას.

ცხედარს გამოასვენებენ სამშაბათს, 19 ენკენისთვეს, დილის 9 საათზე სანგულოვის სახლიდან (თხინვალის ქუჩა, მთაწმინდაში). წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება კალოუბნის ეკლესიაში. დაკრძალვა მოხდება კუკის სასაფლაოზე.

**ალექსი ანტონის ძე ლოლუა და მეუღლე მისი მარიამ ექვთიმეს ასული** სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთ მობრძანდენ ხუთშაბათს, 21 სექტემბერს, დილის 10 საათზე საფირჩხიის ეკლესიაში, სადაც გადახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი

### ნინა ალექსის ასულის ლოლუას

სულის მოსახსენებლათ. (1—1)

ოსტავნოი კოლეჟსკის ასესორი ვლადიმერ მახარაძე და ქვრივი ეკატერინე დავითის ასული კუზანოვისა აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 20 სექტემბერს, დილის 10 საათზე, გარდაცვალების ნახევარი წლის თავზე, გარდახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი, პირველის ძვირფასის შვილის, ხოლო მეორეს შვილისშვილის, ხარკოვის უნივერსიტეტის მედიკური ფაკულტეტის მეხუთე კურსის სტუდენტის

### შაქრო მახარაძის

სულის მოსახსენებლათ. წირვა და პანაშვიდი გარდახდილ იქნება კუკიის სასაფლაოს წმ. ნინოს ეკლესიაში. მსურველთ სთხოვენ მობრძანდენ განსვენებულის პატივსაცემლათ.

კბილის ექიმი ივ. ახალშენიშვილი

იღებს ავათმყოფებს: დილის 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—12. ნიკოლოზის ქ. № 14.

20 **სექტემბრიდან** სომხური გაზეთი

### „ნორ-ხოსკ“-ი

(ახალი სიტყვა)

**ყოველ დღე გამოვა.**

გაზეთი ეღირება წლიურათ 6 მ., თვიურათ 50 კ.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Сололекская, № 3.

## „დედა-ენის“ მეორე ნაწილზე.

„დედა-ენის“ მეორე ნაწილი სტამბის კონტრაქტის ძალით უნდა გაეთავებინა ოცს წარსულს ივლისამდე. ათავებს მხოლოდ ახლა, დაუსრულებელი გაფიცვის გამო. ეს მეორე ნაწილი „დედა-ენისა“ ცოტა დიდია წინენდელს ორსავე ნაწილზე, იპყრობს 248 გვერდსა და შეიცავს საკითხავ წიგნსა პირველისა და მეორე წლისათვის. მისი ხმარება შეუძლია მხოლოდ მას, ვინც პირველს ნაწილს გაათავებს. მასში შეტანილია 5 ახალი განყოფილება: 1) მოთხრობანი და ლექსები წმინდა ზნეობაზე; 2) შინაური ცხოველები და ფრინველები; 3) გარეული ფრინველები და ცხოველები; 4) მცენარეულობა (ბოსტანი, ვენახი, ჰინახული და ტყე); 5) საქართველოს მოკლე გეოგრაფიული აღწერა. ამ განყოფილებას ჩართული აქვს საქართველოს პატარა ქარტა და სურათები ქართველი პატარა ყმაწვილებისა: გურულისა, მეგრელისა, იმერლისა, ქართლელისა და კახელისა. ფასი ყდით ორი აბაზი. (1—1)

## თფილისის ქალაქის თვითმართველობა

ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ ქალაქის საბჭოს 13 ივლისის 1906 წლის დადგენილების თანახმათ, რომელიც დაამტკიცა თფილისის გუბერნატორმა, ნიხრი თფილისის ეტლებზე დროებით მოსპობილია, ეს ზომა სცდელათაა მიღებული. ფასი უნდა მიეცეს მეეტლეს ორივე მხარის შეთანხმებით დამქირავებლისა და მეეტლისა. თუ ვინიცობაა შეთანხმება ვერ მოხდა ან-და დამქირავებელს არ სურს ვაჭრობა, ამისათვის დაწესებულია შემდეგი მაქსიმალური ნიხრი: ქალაქში „კანეცი“ 50 კაპ., 1 საათით დაქირავება 1 მან. ქალაქს გარეთ წასვლა (ნავთლუღი, დიდუბეი, ნაძალადევი, ახალი გოლანდია, ბოტანიკური ბაღი, ორთაჭალა, ვერის ბაღები და სასაფლაო) და უკან დაბრუნება 80 კაპ. თითო „კანეცი“. ვოგზლიდან ქალაქში 75 კ.-მდე, ვოგზლიდან ქალაქის განაპირა ადგილებში—1 მ., ვოგზლიდან დიდუბეში და ნაძალადევში 50 კ.-მდე. ამ ფასებზე მეტის გადახდევინება მეეტლეებს არ შეუძლიათ. ყოველივე თვითნებობა ამ შემთხვევაში მეეტლეების მხრით გთხოვთ შეატყობინოთ ქალაქის თვითმართველობას, აგრეთვე აღნიშნული ეტლის ნომერი.

### მოქალაქეთა და ამხანაგების საყურადღებოთ

ჩვენი პარტიის მტრები და უზნეო ადამიანები, რათა სახელი გაუტეხონ ადგილობრივ ორგანიზაციას, შუღლი გამოიწვიონ შეგნებულ და შეუგნებელ მუშათა შორის და ამ უკმაყოფილებით ისარგებლონ, ხმებსავრცელებენ, ვითომ ბათომის ს. დ. ორგანიზაცია ცდილობს ხელი შეუშალოს ზავოდების გახსნას და მუშაობის დაწყებას. ეს რომ უსირცხვილო ცილისწამებაა, ადვილი მისახვედრია. ორგანიზაციის ინტერესები მოითხოვენ, რაც შეიძლება ზედ-მეტ მუშებმა მოიყარონ თავი ქალაქში და მუშაობა გაჩაღდეს, რაც თავდებია ს. დ. ორგანიზაციის ზრდისა და მოძრაობის გაფართოებისა. მაგრამ ერთი ნაწილი მუშებისა ამ ცილისწამებამ მაინც შეაფიქრა. ამიტომ ბათომის მუშათა ს. დ. ორგანიზაცია აცხადებს, რომ ეს ხმები ყოველივე სიმართლეს მოკლებულია. ზავოდების დაკეტვის მიზეზებს და ორგანიზაციის როლს ამ საქმეში, ამ ცოტა ხანში ვრცელი წერილით გავაცნობთ საზოგადოებას.

ბათომის ს.-დ. მუშათა ორგანიზაცია.

## „მსხვილი ტაქტიკური შეცთომა“

რუსეთის ერთმა ეგრეთ-წოდებულ „საზოგადო მოღვაწეთაგანმა“ ალ. ი. გუჩკოვმა დღეს დიდი აურ-ზაური ასტეხა ბურჟუაზიულ პარტიებში და მთელი მათი პრესა ააყაყანა. რა ქნა, რა ჩაიდინა მან ასეთი? მან გაზ. „ნოვ. ვრემია“-ში ერთი გრძელი წერილი დაბეჭდა და შიგ თავისი „პოლიტიკური აღსარება“ გამოთქვა. აი ამ წერილმა—აღსარებამ ასტეხა აურ-ზაური. ამ წერილით ა. გუჩკოვმა თვით ის პარტიაც კი „აამხედრა“ თავის წინააღმდეგ, რომელსაც თვითონ მეთაურობს,—„17 ოქტომბრის კავშირი“. რა თქვა გუჩკოვმა თავის წერილში? მან იქ არსებითათ თითქმის იგივე გაიმეორა, რაც თვით ხსენებულმა „კავშირმა“ და კიდევ მეორე გუჩკოვმა (ზემოხსენებულის ძმამ) მოსკოვის ქალაქის თავათ ნამყოფმა, გამოთქვეს დეკემბრის აჯანყების შემდეგ. როგორც მაშინ ამათ მთავრობას ხალხის გაჟლეტა-განიავება მოუწონეს და მისთვის მადლობაც კი გადაუხადეს, ისე დღეს ა. გუჩკოვი მთავრობას მის დღევანდელ პოლიტიკას და სამხედრო-საველე სასამართლოებით ხალხის ჟლეტას უწონებს. როგორც მაშინ მთელი „17 ოქტომბრის კავშირი“ მთავრობას აქეზებდა—ნუ დაინდობ რევოლიუციას და ზარბაზნებ-პულემიოტებით სულ ნაცარ-ტუტა ადინეო, ისე დღეს იმავე „კავშირის“ ლიდერი ა. გუჩკოვი იმავე მთავრობას იმნაირათვე აქეზებს. და აი ამაზე უჯავრდება „კავშირი“ თავის ლიდერს, იმდენათ უჯავრდება, რომ საქვეყნოთ აცხადებს—მართალია გუჩკოვი ჩვენი ლიდერია, მაგრამ არავის გეგონოთ, რომ მისი წერილი-აღსარება ჩვენი აღსარებაც იყოსო; ზოგი მოწინავე ოქტომბრისტები კი სრულიად გარბიან კავშირიდან (სტახოვიჩი, შიპოვი და სხ.). ყოველივე აქედან ჩვენ თითქო შემდეგი დასკვნა შეგვიძლია გამოვიყვანოთ—17 ოქტომბრის კავშირს დღეს, თავის ლიდერის მიუხედავათ, აღარ წამს პულემიოტ-ზარბაზნების და ჟლეტის პოლიტიკა. აქედან, რასაკვირველია, არ შეგვიძლია გამოვიყვანოთ ის დასკვნაც, თითქო „კავშირი“ უკვე რევოლიუციას თანაუგრძნობდეს. სრულიადაც არა. ის დღესაც აღიარებს, რომ რევოლიუცია საძაგლობაა, ქვეყნის დამაქცევარია და მის წინააღმდეგ ბრძოლაა საჭირო. კავშირმა „შეიცვალა“ თავისი აზრი მხოლოდ ბრძოლის საშუალებაზე: „დაგმო“ ხალხის ჟლეტით რევოლიუციასთან ბრძოლა და აღიარა მასთან საბრძოლველათ უფრო კულტურული საშვალება—კანონიერების გზა.

რამ გამოიწვია „17 ოქტომბრის კავშირის“ შეხედულების შეცვლა რევოლიუციასთან ბრძოლის საშვალებაზე? და ან კი განა მან მართლა შეიცვალა აზრი ამ საგანზე? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემათ ჯერ გავიხსენოთ, რა ხალხისაგან შესდგება ხსენებული კავშირი *). ამ კავშირს შეადგენს მსხვილი ბურჟუაზია (უმთავრესათ მსხვილი მემამულენი), რომელსაც რევოლიუცია საზოგადოთ ძალიან ეჯავრება, მაგრამ განსაკუთრებით, პირივით ეჯავრება იგი მას შემდეგ, როცა ის, ბურჟუაზია, სახელმწიფო ძალა-უფლებას ახლო მიუჩოჩდება და მის ხელში ჩაგდებას მხოლოდ რევოლიუცია არ აცლის. ასეთ შემთხვევაში გაბრაზებული ბურჟუაზია, ოღონდ კი ძალა-უფლების ნაწილი მაინც ჩაიგდოს ხელში, მზათ არის არსებულ მთავრობას მეგობრობის ხელი გაუწოდოს და ყოველგვარ მის მიერ რევოლიუციის შესამუსრავათ ხმარებულ საშუალებას, თუნდა ხალხის უწყალოთ ხოცვა-ჟლეტას, მხარი დაუჭიროს, დაეხმაროს კიდეც აქტიურათ. და განსაკუთრებით მზათ არის ბურჟუაზია მთავრობისათვის ასეთ მხარის დაჭერაზე იმ შემთხვევაში, თუ ის ხედავს, რომ მთავრობა რევოლიუციასთან ბრძოლაში სიმედგრეს იჩენს და რევოლიუციას კი ამავე დროს სისუსტე ემჩნევა, თუნდაც მხოლოდ გარეგნულათ. სწორეთ ასეთი პირობები შეიქმნა რუსეთში დეკემბრის აჯანყების შემდეგ და სწორეთ ამიტომ იყო, რომ მაშინ „17 ოქტომბრის კავშირმა“ ისეთი ალტაცებით შეაქო მთავრობა და მის მიერ ხალხის დაუნდობელი გაჟლეტა.

სულ სხვაგვარ გუნებაზე დგება ბურჟუაზია იმ შემთხვევაში, როდესაც მას ნებას არ აძლევს ძალა-უფლება ხელში ჩაიგდოს არა მარტო რევოლიუცია, არამედ მთავრობაც. ასეთ შემთხვევაში ბურჟუაზია მტრული თვალით უცქერის როგორც რევოლიუციას, ისე მთავრობას; მაშინ ის საჭიროთ ცნობს ბრძოლას როგორც მარცხნივ, ისე მარჯვნივ. მაგრამ ასეთ შემთხვევაში ბურჟუაზია ამ ორ მხარეთა შორის მეტი მორიდებით ეკიდება იმ მხარეს, რომლისკენაც მეტ ძალას გრძნობს და უფრო ნაკლებათ ერიდება, უფრო გაბედვით ეწინააღმდეგება იმ მხარეს, რომელსაც მეტ სისუსტეს ამჩნევს. სწორეთ ასეთი პირობები შეიქმნა რუსეთში დუმის დათხოვნის შემდეგ. მთავრობა დღეს მსხვილ ბურჟუაზიასაც კი ღირსათ აღარ ხდის ძალა-უფლების მცირე ნაწილი მაინც გაუზიაროს; ამასთან ბურჟუაზია სულ უფრო აშკარათ ხედავს ერთი მხრით, მთავრობის საშინელ დაუძლურებას, მეორე მხრით-კი რევოლიუციის საშინელ გაღრმავება-გაფართოებას. ამას გარდა, ბურჟუაზიას იმედი აქვს, რომ მთავრობა კვლავ დუმას მოიწვევს; იმედი აქვს, რომ დუმაში მეტ თავის წარმომადგენელთა გატარებით კვლავ ძალა-უფლებას ახლო მიუჩოჩდება; იმედი აქვს, რომ ხალხს პირივით ეზიზღება დღევანდელი მთავრობა, მისი სამხედრო-საველე სასამართლოებით, და ერთიანათ ეკედლება რევოლიუციას; იმედი აქვს, რომ რაც უფრო ესა თუ ის პარტია გაკიცხავს მთავრობას და გამოესარჩლება რევოლიუციას, მით უფრო მეტი შანსები ექნება თავისი წარმომადგენლები გაატაროს დუმაში. და აი ყოველივე ამის გამო „17 ოქტომბრის კავშირიც“, რომელიც დუმის პირვანდელ არჩევნების დროს ხალხმა ისე უმოწყალოთ გააშავა, დღეს ყოველი ღონისძიებით ცდილობს არავინ მას მთავრობის მიმართ თანაგრძნობა არ დასწამოს, არავინ მაზე მთავრობის მხრივ მფარველობის ეჭვი არ შეიტანოს, რომ ამით სახელი არ გაიტეხოს; მეორე მხრით ის ცდილობს დაუმტკიცოს ხალხს თავისი გულშემატკივრობა, დაუმტკიცოს, რომ ის მთავრობასავით მხეცი როდია და რომ ყოველი მისი (მთავრობის) ბარბაროსული მოქმედება რევოლიუციის წინააღმდეგ მას ღრმათ აღშფოთებს და სხვ. აი რათ ერიდება „17 ოქტომბრის კავშირი“ მთავრობისაგან პარტიულ სიეზდისათვის ნებართვის მიღებას, რომელზედაც კადეტების პარტიას მთავრობამ უარი უთხრა! აი რათ „შეიცვალა“ ხსენებულმა კავშირმა თავისი აზრი რევოლიუციასთან ბრძოლის საშვალებაზე, აი რათ არ ეთანხმება იგი დღეს თავის ლიდერს, ა. გუჩკოვს და მასთან ერთათ რათ არ უწონებს მთავრობას სამხედრო-საველე სასამართლოებით ხალხის ჟლეტას.

ახლა ცხადია, თუ რამდენათ ნამდვილია ოქტომბრისტების მიერ რევოლიუციასთან ბრძოლის საშვალებაზე აზრის შეცვლა, რამდენათ გულწრფელია მათ მიერ მთავრობის დღევანდელ ბარბაროსულ მოქმედების დაგმობა. და რომ ამაში არ არის იოტის ოდენა გულწრფელობა, ამას აშკარათ ამხელს ის ფაქტიც, რომ „კავშირის“ პეტერბურგის და მოსკოვის კომიტეტებმა პირდაპირ განაცხადა—გუჩკოვის წერილი მსხვილი „ტაქტიკური შეცთომაა“, რომელიც „მეტათ დიდ ვნებას მოუტანს პარტიის პოლიტიკურ ავტორიტეტსო“. დიახ, ეს ფაქტი აშკარათ ამხელს, რომ „17 ოქტომბრის კავშირის“ შემადგენელი ბურჟუაზია მხოლოდ ტაქტიკისათვის და მხოლოდ ხალხში პოლიტიკურ ავტორიტეტის მოსაპოებლათ არ ეთანხმება მთავრობის დღევანდელ მჟლეტელ პოლიტიკას. ცხადია, როგორც კი ამ ტაქტიკის საჭიროება გაივლის, როგორც კი ამ ტაქტიკის შეწეობით ბურჟუაზია ავტორიტეტს მოიპოებს, როგორც კი ამ ავტორიტეტის შეწეობით ის ძალა-უფლებას ჩაიგდებს ხელში, მაშინ ის სულ სხვა „ტაქტიკას“ დაადგება, მაშინ მას აღარ დასჭირდება ხოცვა-ჟლეტის პოლიტიკის ძაგება, მაშინ ის აღარ მოერიდება არავითარ საშვალებას რევოლიუციის შესამუსრავათ, მაშინ ისიც ისე შეუდგება დაუნდობლათ ხალხის ჟლეტას, როგორც იქცევა დღეს თვითმპყრობელი მთავრობა. საფრანგეთის ბურჟუაზიის გამხეცება 1848 და 71 წელს დიდი ხნის ამბავი როდია, რომ ველარ გავიხსენოთ. ა. გუჩკოვის წერილიც, რომელშიაც მან თავისი „პოლიტიკური აღსარება“ გამოთქვა, მხოლოდ ზედ-მეტი საბუთია, ბურჟუაზიის ნამდვილ სულის-კვეთების გამომჟღავნებელი. ა. გუჩკოვმა თავისი „უტაქტიკობის“ თუ თავშეუკავლობის მეოხებით გაუფრთხილებლათ წამოაჩხავლა მხოლოდ ის, რაც ყველა მის-გვარ ბურჟუას გულის სიღრმეში აქვს დამალული. გუჩკოვმა თავისი „უტაქტიკო“ საქციელით გასცა ბურჟუაზია ხალხის წინაშე, თუმცა ეს უკანასკნელი უამისოთაც, უბრალო ყნოსვითაც, უკვე გვარიანათ ცნობს თავისს მტერ-მოყვარეთ, რაც მან წარსულ არჩევნებზედაც დაამტკიცა. და გუჩკოვმა თავისი „პოლიტიკური აღსარებით“ მხოლოდ პოლიტიკური სიბეცე გამოიჩინა: მან ვერ დააფასა ვერც ხალხის დღევანდელი განწყობილება, ვერც მთავრობის დღევანდელი ძალა. მან წარმოიდგინა, რომ ხალხი უკვე ტყდება, რადგან დღეს იგი შედარებით გაჩუმებულია, ხოლო მთავრობა კი ძლიერდება, რადგან დღეს იგი თავისი სამხედრო-საველე სასამართლოებით ჰკეს და ქუხს. ოქტომბრისტები, უეჭველია, ეცდებიან თვალები აუხილონ თავიანთ ბეც ლიდერს, თუ ის ჯერ კიდევ მთლათ შავრაზმელთა ბანაკში არ გადაბარგებულა.

**ვალენტინ.**

*) „17 ოქტომბრის კავშირის“ უფრო დაახლოვებით გაცნობა მკითხველს შეუძლია დღევანდელ ფელეტონში.

## პოლიტიკური მიმოხილვა

**ბურჟუაზიის რეპრესიები ეპატიება.**

„საზოგადო მოღვაწემ“ ა. ი. გუჩკოვმა თავისი წერილი—აღსარება მეორე „საზოგადო მოღვაწის“ ზომიერ ლიბერალის თავ. ევგ. ტრუბეცკოის წინადადებით გამოაქვეყნა, რომელსაც გაეგონა გუჩკოვის „აზრი“ მთავრობის დღევანდელ პოლიტიკის შესახებ, მთლათ ვერ დაეჯერებია ეს აზრი და ცალკე წერილით თხოვა გუჩკოვს გადაჭრით და მკაფიოთ გამოთქვი შენი შეხედულებაო. თავ. ტრუბეცკოისათვის გუჩკოვის წერილს „იმედის გაცრუების და ღრმა წყენის გრძნობები“ მოუგვრია და თავის მხრივ წერილითვე პასუხს აძლევს გუჩკოვს. ტრუბეცკოი უცხადებს უკანასკნელს, შეუძლებელია დაგეთანხმო, რომ „სახელმწიფო აუცილებლობის რკინის კანონს შეუძლია გაამართლოს სიკვდილით დასჯაო (გუჩკოვის სიტყვებია). ტრუბეცკოის აზრით, ბრძოლაში დაცულ უნდა იქნას ზნეობრივი კანონები და თანაბრათ დასაგმობია როგორც მთავრობის ტერორი, ისე რევოლიუციონერთა ტერორი,—ერთი სიტყვით, ტრუბეცკოის აზრით, დღევანდელ რევოლიუციის ბედი უნდა გადაწყდეს არა ფიზიკური ძალით, არამედ ზნეობრივი გავლენით და კანონიერი წესით. ეს ხალასი ლიბერალური აზრია, ანუ უკეთ ოცნებაა, და ამ მხრივ „ლიბერალი“ გუჩკოვი უფრო სწორე შეხედულებას მიახლოვებია,—იმ შეხედულებას, რომ რევოლიუციაში ფიზიკური ძალები უპირდაპირდებიან ერთმანეთს და მხოლოდ მათი ბრძოლის შე-

დეგი წყვეტს რევოლიუციის ბედს, ეს „აუცილებლობის რკინის კანონია". გუჩკოვი მხოლოდ ანგარიშში მოტყუებულა და მოჩვენებია, რომ დღეს მთავრობას მეტი ძალა შესწევს, ვინემ რევოლიუციას და ამიტომ მას შეუძლია დაამარცხოს უკანასკნელი.

მართალია ტრუბეცკოის აშფოთებს ტლანქი ძალების ასეთი შეჯახება და ის გმობს მთავრობის დღევანდელ „ტლანქ" რეპრესიებს (სამხედრო-საველე სასამართლოებით რევოლიუციონერების გაჟლეტას), მაგრამ არ გეგონოთ, რომ ის საზოგადოთ რეპრესიების წინააღმდეგი იყოს; ის ამბობს, კადეტთა სამინისტროც რომ შედგეს, მასაც დასჭირდება მკაცრი რეპრესიების მიღებაო. და აი ასეთ რეპრესიებს, კადეტების თუნდ უსასტიკეს რეპრესიებს, ტრუბეცკოი სავსებით იწყნარებს და ამართლებს,—ამართლებს იმიტომ, რომ კადეტები რეპრესიებს კანონის დასაცველათ იხმარენო. მაგრამ კადეტების და ტრუბეცკოისებურ· ბურჟუების მიერ შემუშავებული კანონი ხომ ბურჟუაზიის ინტერესების დამცველი იქნება და, მაშასადამე, ამ კანონის დასაცველათ რეპრესიების ხმარება თავისთავათ იმას ნიშნავს, რომ კადეტები რეპრესიებს იხმარენ ბურჟუაზიის ინტერესების დასაცველათ, როცა ხალხი „კანონის" წინააღმდეგ თავისთვის მეტ უფლებას მოითხოვს. ჰო-და, თუ კი ბ. ტრუბეცკოი ბურჟუაზიას ნებას აძლევს თავის ინტერესების დასაცველათ ხალხს რეპრესიებით ბოლი აადინოს, რათ უშლის ამას მთავრობას, როცა ესეც მხოლოდ თავის ინტერესების დასაცველათ ხმარობს რეპრესიებს? ტრუბეცკოი ასე იქცევა, რასაკვირველია, იმიტომ, რომ თვითონ ბურჟუაა და დღევანდელი მთავრობა კი მისი ვერაფერი მცველია. და თუმცა ტრუბეცკოის დღეს თითქო ძალიან აშფოთებს მთავრობის ბარბაროსული მოქმედება, მაგრამ ის, ეჭვი არ არის, ასეთ რეპრესიებსაც ადვილათ გაამართლებს მაშინ, როდესაც ბურჟუაზიისაგან შედგენილ მთავრობასაც დღევანდელ ბიუროკრატიულ მთავრობასავით განსაცდელი მიადგება, როგორც ეს იყო პარიჟში 48 წ. და 71 წ. კომუნის დროს.

**დეპეშათა სააგენტო და მისი კორესპონდენტები.**

პეტერბურგის დეპეშათა სააგენტო სამდურავს უცხადებს თავის კორესპონდენტებს —ცალმხრივ ამბებს გვაწოდებთო. თურმე ნუ იტყვით, ხსენებული კორესპონდენტები „განსაკუთრებული ყურადღებით და ხაზგასმით აღნიშნავენ რუსეთის ცხოვრების ყველა ანორმალურ მოვლენებს და ხშირათ უყურადღებოთ ტოვებენ საინტერესო ფაქტებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ... რუსეთის ორგანიულ განვითარებას ვერ აჩერებს რევოლიუციონური მოძრაობაო" და სხ... სააგენტოს აზრით, „აგრარულ არეულობის შესამჩნევი ნაწილი შეადგენს რუსეთის ცხოვრების მხოლოდ ზედა პირს და ხელუხლებლათ ტოვებს მის გულს"; ხშირათ გლეხები და სალდათები აგიტაციისათვის სასტიკათ დევნიან და პოლიციას აძლევენ ხელში რევოლიუციონერებს; საზოგადოებაც აღშფოთებულია თურმე რევოლიუციონურ მოქმედების თავაშვებულობით; ბევრს თურმე თანაგრძნობის გამოცხადება სურდა სტოლიპინისათვის მისი მოკვლის განზრახვის გამო; ერთი სიტყვით, სააგენტო ამტკიცებს, რომ ძლიერდება საზოგადოებრივი რეაქცია რევოლიუციონურ მოქმედების წინააღმდეგ, და ამას სააგენტოს კორესპონდენტები უყურადღებოთ ტოვებენ. ამას სააგენტო ნათლათ ხედავს პეტერბურგიდან და მისი კორესპონდენტები კი ადგილობრივ ვერ ამჩნევენ. ასეთი ლათაიები სააგენტოსი, ჩვენ, რასაკვირველია, სიცილათაც არ გვყოფნის. ჩვენ კარგა ხანია ვიცით, რომ სააგენტო, მთავრობის ბრძანებით, რომლის ხელშიაც ის არის, არასოდეს იმის მეათედსაც არ იუწყება ხოლმე, რაც ნამდვილათ ხდება რევოლიუციის სამეფოში. საზოგადოებრივი რეაქციის გაძლიერებაც მხოლოდ მთავრობის ფანტაზიის ნაყოფია და სააგენტო ამაზედაც მხოლოდ მთავრობის ბრძანებით უთითებს თავის კორესპონდენტებს. სააგენტოს ასეთი მიმართვა თავის კორესპონდენტებთან მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ამიერიდან მათ სასტიკათ ეკრძალებათ ხშირათ რევოლიუციონურ ამბების მიწოდება და სასტიკათ ევალებათ ხშირათ საზოგადოებრივი რეაქციის მომასწავებელ ამბების გზავნა ადვილი მისახვედრია, კორესპონდენტებმა რომ სააგენტოსაგან საყვედური არ დაიმსახურონ, ისინი არ მოერიდებიან არც ნამდვილ ამბების გადამახინჯებას და არც ცხელ-ცხელ ჭორების შეხანხვლას. ამაში ისინი აქამდინაც დახელოვნებული იყვნენ და, თუ დღემდე დეპეშები ყოვლათ უბადრუკი სარკე იყო დღევანდელ ვითარების გამოსახატავათ, ამიერიდან ეს სარკე კიდევ უფრო „დაბრუციანდება".

ვალ—ინ.

---

**მომავალი არჩევნები და ჩვენი ტაქტიკა**

—

ამხანაგი გ. ლ. საყურადღებო კითხვას შეეხო „გრიგალის" მეორე ნომერში. სახელდობრ იმას, თუ რა ტაქტიკას უნდა დავადგეთ ჩვენ მომავალი არჩევნების დროს.

ამ კითხვის ეხლავე სისწორით გადაწყვეტა შეუძლებელია, რადგან მიზეზი (დუმა), რომლისაგანაც გამოწვეულია ეს კითხვა, ეკუთვნის კარგა შორეულ მომავალს. მანამდის კი საზოგადოების ძალთა განწყობილება შეიძლება ბევრნაირათ შეიცვალოს და ჩვენც იძულებული ვიქნებით ჩვენი ტაქტიკაც ამ ახალ ძალთა განწყობილებას შევუთანხმოთ.

მეორე მიზეზი ისაა, რომ ძველი დუმის საარჩევნო სისტემა უკვე გაუქმებულია და მთავრობა ახალს იმუშავებს. ჩვენ არ ვიცით, როგორი იქნება ეს ახალი სისტემა. გაზეთები იუწყებიან, რომ ან საყოველთაო იქნება, ან კიდევ ძალიან მაღალ ცენზიანიო. აი, ამისი უცოდინარობა შესამჩნევათ აფერხებს ჩვენი კითხვის გადაწყვეტას; ამიტომ კითხვის დაწვრილებით გარკვევა გადავდოთ მომავლისთვის, როდესაც დაწვრილებითვე გავიგებთ ახალი დუმის არჩევნებს. ეხლა კი საზოგადოთ გადავწყვიტოთ ეს კითხვა. ეს კი სასარგებლო იქნება იმიტომ, რომ მასა წინათვე გამოერკვევა ამ საძნელო კითხვაში და თავის დროზე ისე მოუმზადებელი აღარ შეხვდება, როგორც წინათ. წინათვე საზოგადოთ გამომუშავებულ ტაქტიკას მერე ადვილათ შევუფარდებთ ყველა იმ წვრილმან კითხვებს, რომლებსაც მომავალი წამოაყენებს.

ცხადია ახალი დუმა დიდ გადამწყვეტ როლს ითამაშებს რევოლიუციაში. ის უკანასკნელათ აიძულებს მთავრობას ან დაუთმოს ხალხს, ან გარეკოს ახალი დუმაც მისი „ურჩობისთვის" და ამით ძოსპოს ყოველივე საშუალება კანონიერი გზით ბრძოლისა. ამის შემდეგ მთავრობაც და ხალხიც უნდა დადგენ მხოლოდ და მხოლოდ ფიზიკურ ძალის იმედზე.

მთავრობა კარგათ ითვალისწინებს ახალი დუმის მნიშვნელობას და ამიტომ ყველაფერ ღონისძიებას ხმარობს, რომ ის მისი სასარგებლო, ანუ რეაქციონური გამოდგეს.

ჩვენ ვხედავთ დუმის ამავე მნიშვნელობას და უნდა ვეცადოთ რაც შეიძლება უფრო მემარცხენე იყოს ახალი დუმა, ვინემ პირველი.

დუმის რეაქციონერობა და პროგრესისტობა რომ დამოკიდებული იყოს პირდაპირ საზოგადოების რეაქციონერობაზე და პროგრესისტობაზე, ცხადია დუმა ძალიან პროგრესიული იქნება, რადგან საზოგადოების უმრავლესობა პროგრესიულია; მაგრამ შემთხვევით შეიძლება დუმა რეაქციონური აღმოჩნდეს. ეს მოხდება მაშინ, თუ არჩევნების დროს რეაქციონური პარტიები შეერთებულათ იმოქმედებენ, რისთვისაც ეხლავე ემზადებიან, და პროგრესიული პარტიები კი ცალ-ცალკე, დაქსაქსულათ.

რომ ეს ასე არ მოხდეს, ამხანაგი გ. ლ. ამბობს, რომ სოციალდემოკრატმა უნდა ეცადოს შეაკავშიროს ყველა პროგრესიული პარტიები და შეერთებულ რეაქციონერ ძალას წინ დაახვედროს შეერთებული დემოკრატიული ძალაო.

ჩვენ ამგვარ რჩევაზე ვერ ვიტყვით ვერც ჰოს, ვერც არას, თუ კითხვას დაწვრილებით არ გავარჩევთ.

დასავლეთ ევროპის გამოცდილებიდან ვიცით, რომ დაირღვევა თუ არა თვითმპყრობელობის საძირკველი, მაშინვე სახელმწიფოს მართვა-გამგეობას ხელთ იგდებს ხოლმე ლიბერალური ბურჟუაზია; ის ცდილობს მეფის თვითმპყრობელობა გახადოს თავის თვითმპყრობელობათ და რევოლიუცია, რომელიც ჯერ კიდევ წინ მიისწრაფვის, ებრძვის ათასჯერ უფრო მეტის სისასტიკით, ვინემ ებრძოდა თვითმპყრობელობას.

რევოლიუციის მიზანია ხალხის ინტერესების გაბატონება. და რადგან ლიბერალური ბურჟუაზიის გაბატონება არ ნიშნავს ხალხის გაბატონებას, ამიტომ ხალხი ჯერ კიდევ განაგრძობს ბრძოლას (თუ ყოველთვის არ ხდება ასე, ეს არის ან სისუსტის ან შეუგნებლობის მიზეზი), მაგრამ ბრძოლა გრძელდება სულ ახალ მტერთან, ბურჟუაზიასთან, რომელიც ითვლებოდა ხალხის გუშინდელ მეგობრათ.

რუსეთში ლიბერალურ ბურჟუაზიის შეგნებულ ინტერესების გამომხატველათ ითვლება უმთავრესათ კონსტიტუციონალ დემოკრატების პარტია.

ეხლა გავსინჯოთ, რამდენათ სასარგებლო იქნება სოციალდემოკრატიისთვის კადეტებთან და სხვა ბურჟუაზიულ პარტიებთან შეერთება.

კადეტების პარტია არის გარდამავალი საფეხური რეაქციონერებიდან რევოლიუციონერებისკენ; ამიტომ მათი მიკუთვნება რევოლიუციონურ პარტიებთან ისეთივე შეცდომა იქნებოდა, როგორც მათი რეაქციონერებთან მიკუთვნება. კადეტების ყველა მარჯვნივ თუ მარცხნივ გადადგმული ნაბიჯი დამოკიდებულია მთავრობის ყოველდღიურ მოქმედებაზე: მათზე, როგორც ჩვენ, ისე რეაქციონერებიც ჯერ-ჯერობით ვერაფერ გარკვეულ იმედს ვერ დავამყარებთ; საიდანაც ნიავი დაუბერავს, ისინიც იქით გადაიხრებიან, მანამ ნამდვილ ბატონობას მიაღწევდენ, ამიტომ მათი ყველა ნაბიჯი ცალ-ცალკე უნდა ავწონ-დავწონოთ ხოლმე და ისე დავაფასოთ.

შემდეგ რუსეთის რევოლიუცია იმითი დგას ევროპის რევოლიუციაზე მაღლა, რომ აქ თვითმპყრობელობის დაქცევას წინ უძღვის ასე თუ ისე შეგნებული კლასიური ბრძოლა. და რამდენათაც გრძელდება თვითმპყრობელობასთან ბრძოლა, იმდენათ ღრმავდება კლასიური შეგნებაც. ჩვენი ვალია ამ კლასიურ შეგნების გაღრმავებას რაც შეიძლება ხელი შევუწყოთ და ყოველი წინგადადგმული ნაბიჯი ამ ბრძოლაში უნდა იყოს კლასიურ თვითშეგნებისაკენ გადადგმული ნაბიჯი.

თუმცა ამხ. გ. ლ. ირწმუნება, რომ კადეტებთან და სხვა დემოკრატიულ პარტიებთან შეერთება წინ წასწევს მუშების კლასიურ თვით-შეგნებას, თუ ამ კითხვის გადაწყვეტაში თვითონ მუშები მიიღებენ მონაწილეობასო. მაგრამ ეს იმნაირივე ჭეშმარიტებაა, როგორც, მაგალითად, ის, რომ თვითმპყრობელობის არსებობა ხალხს აძლევს პოლიტიკურ შეგნებას. ეს სიმართლეა განსაზღრულ ვადამდის, შემდეგ კი შეგნების დამაბრმავებელია და ამიტომაც იწყებენ ხოლმე მის წინააღმდეგ ბრძოლას.

ამხ. გ. ლ.-ის სიტყვით კითხვა უნდა გადაწყვიტონ პარტიულმა მუშებმა (ეს ასეც უნდა მოხდეს!) და ნუ თუ, ამ კითხვის პარტიული მუშებისაგან გადაწყვეტა აფართოვებს მუშების კლასიურ თვით-შეგნებას? რასაკვირველია, არა. პარტიულ მუშებს იმდენი კლასიური თვით-შეგნება კი აქვთ, რომ ამ შეგნების გასაფართოვებლათ მათ სრულიადაც არ ჭირდებათ კადეტებთან შეკავშირება, რომ ამ კავშირით კიდევ გამომჟღავნდეს ბურჟუაზიის სიყალბე. მაგრამ პარტიული მუშების თვითცნობიერება არ ნიშნავს საერთოთ მუშების თვითცნობიერებას, რადგან პარტიული მუშების რიცხვი შესდგება რამდენიმე ათი ათასიდან და მთელი რუსეთის მუშები კი 6—7 მილიონამდის აღის. კადეტებთან შეკავშირება კი მასას არ აძლევს კლასიურ შეგნებას, გინდ პარტიულ მუშებით მოხდეს ეს შეკავშირება და გინდ მათი მეთაურებით.

ეს სიმართლეა იმიტომ, რომ, ჯერ ერთი არჩევნების დროს იმის მაგიერ, რომ სოციალდემოკრატიული პარტია გამოვიდეს საარჩევნო ასპარეზზე, როგორც გარკვეული კლასიური პარტია, ებრძოლოს ბურჟუაზიულ პარტიებს, პირბადე ახადოს მათ სიყალბეს და ამით ხალხს მისცეს კლასიური შეგნება ან უფრო გააფართოვოს იგი, ვეღარ გამოვა როგორც ცალკე კლასის პარტია და ფართოთ ვეღარ გასწევს კლასიურ ნიადაგზე აგიტაციას; ყოველთვის მან უნდა იძახოს: „მიეცით პროგრესიულ პარტიების კავშირს ხმა!" ასე თუ ისე ძალიან საძნელო იქნება კლასიურ ნიადაგზე აგიტაციის გაწევა, რადგან ის პარტია ვის წინააღმდეგაც უნდა იბრძოლო, შენი მოკავშირეა და ეს კავშირი გაიძულებს, რომ ისიც ისე დაიცვა არჩევნების დროს, როგორც თავის თავი. ერთ და იმავე დროს დაცვაც და ბრძოლაც მასთან, ვის წინააღმდეგაც იბრძვი, ძლიერ მოუხერხებელია და მასისთვისაც ძნელი გასაგებია *).

მეორე ის არი, რომ სოციალდემოკრატიის და საზოგადოთ რევოლიუციონური პარტიების შეერთებით ბურჟუაზიულ პარტიებთან, არჩევნების დროს მათ წინააღმდეგ სუსტი ბრძოლა და იმავე დროს მათი დაცვა, კარგა ნდობას მოუპოვებს ბურჟუაზიულ პარტიებს მასაში და როდესაც ახლათ გაბატონებული ბურჟუაზია მოინდომებს თავისზე წინ აღარ გაუშვას რევოლიუცია, მას საამისოთ საკმაო ნდობა ექნება ხალხში, და რევოლიუციონური პარტიები კი უნდა გამარტოვდნენ დარჩნენ.

*) სწორედ ეს მიზეზი იყო, რომ პარტიულმა მუშებმაც კი ვერ გაიგეს მეუმცირესეთა ტაქტიკა პირველი დუმის შესახებ: ერთ და იმავე დროს კიდეც ვაძაგებდით დუმას და კიდეც მივდიოდით მასში.

---

# ფელეტონი

—:—

**პოლიტიკური პარტიები რუსეთში**

ლ. მარტოვისა.

**ცენტრის პარტია.**

**III *)**

მომაკვდავმა ძველმა წესწყობილებამ, რომელიც წყევლა-კრულვის ღირსია, თავის თავის დამცველი იპოვა „რუსეთის ხალხის კავშირში" და სხვა მის მზგავს მონარქიულ პარტიებში. ამ ძველ და ახალ რუსეთს შორის მოთავსდენ სხვადასხვა პარტიები, რომლებსაც სურთ ყველასათვის საზარელი ძველი წესწყობილების ოდნავ შეკეთება. ამ „ცენტრის" პარტიებს შორის (მემარცხენეთა და მემარჯვენეთა შუა) „უფრო ცნობილია" სავაჭრო-სამრეწველო და „17 ოქტომბრის კავშირის" პარტიები, ორივე პარტიას, ასე თუ ისე, საჭიროთ მიაჩნია მეფობის შეზღუდვა და ამით განსხვავდებიან „რუსეთის ხალხის კავშირისა" და მის მზგავს პარტიებისაგან. ორივეს სურს, რომ ძალაუფლება მეფეს ეკუთვნოდეს ხალხის წარმომადგენელთან ერთად; ამათ ყველას სურთ კონსტიტუციური წყობილება, ე. ი. მთავრობის დამორჩილება განსაზღვრულ ძირითად კანონებზე; ასეთ ძირითად კანონებს ისინი აკუთვნებენ კანონებს სიტყვის, პიროვნების, კავშირების და სხვ. თავისუფლებების შესახებ. კონსტიტუციის მომხრე სხვა პარტიებისაგან ისინი განსხვავდებიან მხოლოდ იმით, რომ უმთავრეს უფლებას ანიჭებენ მონარქს. ხალხის არჩეულები კი მხოლოდ მონარქის მრჩევლების როლს ასრულებენ. სავაჭრო-სამრეწველო პარტია თავის მოწოდებაში ამრჩევლების მიმართ ამტკიცებს, რომ სახელმწიფო დუმა სახელმწიფო საბჭოს (მეფის მიერ დანიშნულია) დაუთანხმებლათ სახელმწიფოს წესწყობილებას ვერ შეცვლისო. „17 ოქტომბრის კავშირში" ხელმძღვანელებათ არიან ისეთი ადამიანები, როგორიცაა: სტახოვიჩი, შიპოვი, ხომიაკოვი, რომელთაც სულ ამ ცოტა ხნის წინათ რუსეთში კონსტიტუციის შემოღება არც კი მიაჩნდათ შესაძლებლათ. მათ პროგრამას შეადგენდა „საერო მეფე", ე. ი. თვითმპყრობელი მონარქი, რომელსაც, დაქირავებულ ჩინოვნიკებს გარდა, ხალხის მიერ არჩეული მრჩევლები უნდა ეხმარებოდენ. მთელ გადამწყვეტ ძალა-უფლებას ისინი მეფეს უტოვებდენ. ეხლა—17 ოქტომ. შემდეგ—„ოქტომბრისტები" მზათ არიან ამორჩეულ წარმომადგენლებს ზოგიერთი დამოუკიდებელი უფლებები მისცენ, მაგრამ სახელმწიფოში გავლენა კი, მათი აზრით, უმთავრესათ მონარქის ხელში უნდა იყოს.

„ცენტრის" პარტიის მეორე განსხვავებას შეადგენს იმ წარმომადგენლობის არისტოკრატიული ხასიათი, რომელიც მათ სურთ. 17 ოქტომბრამდის მათი სურვილი იყო შეძლებულ კლასებს წარმომადგენელი ყოლოდა. ეხლა კი „17 ოქტომბრის კავშირი" მომხრეა საყოველთაო საარჩევნო უფლების, მაგრამ პირდაპირი და თანასწორი კი არ ეპიტნიკება. მისი სურვილია შეძლებულ კლასებს მეტი წარმომადგენლები ყავდეთ და მეტი გავლენა ქონდეთ არჩევნებზე (არაპირდაპირი არჩევნების შემწეობით, სავაჭრო-სამრეწველო პარტია თავის პროგრამაში სულაც არ იხსენიებს საყოველთაო-საარჩევნო უფლებას.

„ცენტრის" პარტიებმა თავის ბაირაღს პოლიტიკური თავისუფლება წააწერეს, მაგრამ ისინი ამ თავისუფლებას ძლიერ ზღუდავენ. ვაჭრობა-მრეწველობის პარტია თავის მოწოდებაში ამბობს, რომ თავისუფლება, რომელიც 17 ოქტომ. მანიფესტით დაგვპირდენ, უნდა შეიზღუდოს „სახელმწიფოს მთლიანობის" გულისათვის. მაშასადამე, ეს პარტია მონარქისტებივით მომხრეა თვითმპყრობელობის, და ფიქრობს, რომ მოქალაქეების „მეტი" თავისუფლება „სახელმწიფოს მთლიანობას" ავნებსო. მაგრამ ვინ გვიჩვენებს სად თავდება აუცილებელი თავისუფლება და სად იწყება „ზედმეტი?" აშკარაა, ამ პარტიისთვის მოქალაქეთა თავისუფლება არ არის მისი კანონიერი უფლება, ესაა აუცილებელი ბოროტება, რომელიც შეძლების დაგვარათ უნდა შემცირდეს. ასეც იქცევა პარტია. „კანონით, ამბობს ის, საზღვარი უნდა იქნეს გავლებული თავისუფლებასა და თვითნებობას შორის". ის წუწუნებს და ჩივის, რომ „ჩვენ მოგვცეს თავისუფლება, მაგრამ კანონები კი, რომელიც ამ თავისუფლებას ბოროტმოქმედებისაგან დაიფარავს, არ არის და ეს კანონები უნდა გამოიცესო". ამნაირათ პარტია ჩივის, რომ თანამედროვე რუსეთში დიდი თავისუფლება აქვთ მოქალაქებსო. მოვიყვანოთ ორი მაგალითი იმ კუდმოკვეცილ თავისუფლებისა, რომელიც პარტიას სურს. მაგალ., პარტია თხოულობს „კავშირების და კრებების თავისუფლებას". მაგრამ ის ამბობს, რომ „კავშირების და კრების თავისუფლება მისცემს უფლებას კავშირისა და კრებისას იმ ადამიანებს, რომლებიც შეერთებულან სახელმწიფოს, ხალხის, საზოგადოების და კერძო პირების საწინააღმდეგოთ და საზარალოთ. ეს საკმაოთ ცხადია. მაგრამ საქმე იმაშია, რა უნდა ჩავთვალოთ საზოგადოების საწინააღმდეგოთ და საზარალოთ. ზოგი ფიქრობს, საზარალო და მავნებელი ის არის, როცა ვაჭრები და ფაბრიკანტები ერთათ თავს მოიყრიან და მოილაპარაკებენ იმ საქონლის გაძვირებაზე, რომელსაც ღარიბები ყიდულობენ; სხვები ფიქრობენ, რომ საწინააღმდეგო და მავნებელია მუშების თავის მოყრაო. ისინი თავს მოიყრიან და დაიწყებენ მსჯელობას, თუ როგორ, რა გზით და საშუალებით შეამცირონ სამუშაო დღე. ვინ გადაჭრის რომელი მიზანია მავნებელი და რომელი არა? რასაკვირველია, ამას გადაჭრის ის, ვისაც დღევანდელ წესწყობილებაში ძალა და უფლება აქვს. სწორეთ ამიტომ საზოგადოებისათვის მავნებლათ ცნობილია ყოველივე ის, რაც მავნებელია შეძლებულებისათვის.

ვაჭრობა-აღებ-მიცემობის პარტიაც „გაფიცვის თავისუფლებას" აღიარებს, მაგრამ ის მოითხოვს, რომ სასტიკათ იქნან დასჯილი გაფიცულები არა მარტო მოღალატეებზე ძალდატანების ხმარებისათვის, არამედ „დამუქრე· სათვისაც".

გასაკვირალი არაა, რომ როცა დეკემბრის გაფიცვის და აჯანყების შემდეგ მთავრობამ ყოველგან სამხედრო წესები შემოიღო და მშვიდი მოქალაქეები ათასობით დახვრიტა, ვაჭრობა-აღებ-მიცემობის პარტიამ სიეზდზე მთავრობის ასეთი მოქმედება მოიწონა —17 ოქტომბრის შემდეგ რუსეთმა დიდი თავისუფლება მიიღოო, ფიქრობს ეს პარტია.

„ცენტრის" მეორე პარტიამ—„17 ოქტ. კავშირმაც" მთავრობის ყოფა-ქცევა მოიწონა. როცა 1906 წ. იანვარში სიეზდზე სამხედრო და განსაკუთრებული წესების მოხსნის შესახებ წინადადება შეიტანეს, ამ პატივცემულმა ოქტომბრისტებმა გადაწყვიტეს, რომ სამხედრო წესები და გაძლიერებული დაცვა თავისუფალ კონსტიტუციურ სახელმწიფოსთვის უვარგისია, მაგრამ რადგანაც ჩვენში პროლეტარიატი გაფიცვებს ახდენს, გლეხობა მემამულეების მიწებს ითვისებს, რევოლიუციონერები კი აჯანყებას ქადაგებენ, ამისათვის არ შეიძლება სამხედრო წესების მოხსნა იმ დრომდის, სანამ არ გამოიცემა ისეთი კანონები, რომლებიც სამხედრო წესებზე უკეთესათ შეზღუდავს „ზედმეტ" თავისუფლებას, გაფიცვის, ბეჭდვის, კრების, კავშირების და პიროვნების.

ცენტრის ორივე პარტია ყველაზე მეტს ლაპარაკობს „რუსეთის მთლიანობაზე" და მათაც ეს ისე ესმით, როგორც მემარჯვენე პარტიებს: ისინი ამბობენ, რომ პოლონეთსა და კავკასიას პეტერბურგიდან უნდა განაგებდენო. არც პოლონელებს, არც სომხებს და ქართველებს უფლება არ უნდა ქონდეთ სხვის ჩაურევლათ თავისი ბედიღბალი გადაწყვიტონო. საგლეხო კითხვებს და გლეხთა გაჭირვებას ცენტრის პარტიები იმ საშუალებით წყვეტენ, როგორიც არის საგლეხო ბანკი, ციმბირში გადასახლება და სხვა. „ჩვენ ვერ მივემხრობით და შევეთანხმებით იმათ, ამბობს ვაჭრობა-მრეწველობის პარტია, რომლებიც ამბობენ გლეხებს მიწები უფასოთ დაურიგდეს და მემამულეებს წაერთვასო".

ცენტრის პარტიები მუშათა კითხვაში რვა საათის სამუშაო დღის წინააღმდეგ იბრძვიან. ვაჭრობა-მრეწველობის პარტია თავის მოწოდებაში გვარწმუნებს, რომ რვა საათის სამუშაო დღე რუსეთს გააკოტრებსო. როგორც ვხედავთ ისიც გაფიცვის წინააღმდეგ იბრძვის.

ასეთი პროგრამით ვის ინტერესებს იცავს პარტია? „რუსეთის ხალხის კავშირში" ჩვენ დავინახეთ აზნაურები, ჩინოვნიკები და ხუცები, რომლებიც მთავრობის მფარველობით და ნაფიცხებით სარგებლობენ. „17 ოქტომრის კავშირში" და „ვაჭრობა-მრეწველობის" პარტიაში ჩვენ ვხედავთ მემამულეებს, ვაჭრებს, ფაბრიკანტებს, რომლებმაც შეიგნეს თვითმპყრობელობის გაუქმების საჭიროება, რომ ვაჭრობა-მრეწველობა და სწავლა-განათლება განვითარდეს

*) იხ. „გრიგალი" № 7.

გამრავლებული მკითხველი წამოიძახებს. მაშ რავქნათ, როცა რეაქცია გვახრჩობს ჩვენც და ბურჟუაზიასაც? რატომ არ უნდა ვისარგებლოთ რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლაში ბურჟუაზიით, თუ კი ეს შესაძლოა?

ეს სრული ჭეშმარიტებაა. ამ რევოლიუციაში ჩვენ უნდა ვეცადოთ, რაც შეიძლება მეტათ ვისარგებლოთ ბურჟუაზიით, მაგრამ ისე, რომ ამ სარგებელმა მართლა სარგებელი მოგვიტანოს შემდეგისთვის და არა ზარალი.

მაშ ეს კითხვა ისე უნდა გადავსწყვიტოთ, რომ არც წვალი დავწვათ და არც შამფური.

მთელი რუსეთისთვის ამ კითხვის ერთგვარათ გადაწყვეტა შეუძლებელია, რადგან ყველგან ერთნაირი პირობები არაა; მაშ კითხვა უნდა გადაწყდეს ყველგან ადგილისა და პირობების დაგვარათ. ამხანაგი გ. ლ. კი ამბობს, კითხვა უნდა საერთოთ გადაწყდეს და ასრულება კი უნდა მიენდოს ადგილობრივ ორგანიზაციებს პირობებისა და საჭიროების დაგვარათ. აი, იმისი ბუნდოვანობა აქაა. განა თუ მარტო ასრულება, არამედ გადაწყვეტაც ადგილობრივი ორგანიზაციების საქმე უნდა იყოს.

პარტიის ცენტრებმა მხოლოდ საერთო დირექტივები უნდა მისცენ ორგანიზაციებს და ეს დირექტივები უნდა შეიცავდენ შემდეგ შინაარსს:

რომ რეაქციაც დავამარცხოთ და პარტიაც ეცადოს შეირჩინოს თავისი საკუთარი ხასიათი, მომავალი არჩევნებისთვის, უნდა ვიხელმძღვანელოთ შემდეგი მოსაზრებით:

1) იქ, სადაც რეაქცია სუსტია და ლიბერალურ-ბურჟუაზიული პარტიების ძალაც მცირეა, შედარებით სოც.-დემ. ძალასთან, სოციალდემოკრატიული პარტია არ საჭიროებს არც ერთ პარტიის კავშირს და ის მარტოთ-მარტო უნდა გამოვიდეს საარჩევნო ასპარეზზე, როგორც რეაქციის, ისე ბურჟუაზიული პარტიების წინააღმდეგ. ამას მოითხოვს კლასიური ინტერესები.

2) იქ, სადაც რეაქცია სუსტია, მაგრამ ბურჟუაზიული პარტიები, ანუ პარტია კი ძლიერია, შედარებით სოც.-დემ. ს.-დემ. უნდა ეცადოს შეუერთდეს მახლობელ რევოლიუციონურ პარტიას, მაგ., ს.-რ. და უნდა გამოვიდეს ბურჟუაზიის წინააღმდეგ საბრძოლველათ, გინდაც ეს ბრძოლა გათავდეს ბურჟუაზიული პარტიის გამარჯვებით. ამგვარ ტაქტიკას მოითხოვს, როგორც კლასიური, ისე პოლიტიკური მოსაზრება.

3) იქ, სადაც რეაქცია ძლიერია და სხვა პროგრესიული პარტიები სუსტი, ს.-დ. უნდა ეცადოს შეუკავშირდეს, როგორც რევოლიუციონურ პარტიებს, ისე ბურჟუაზიულსაც, რეაქციის დასამარცხებლათ. ამას მოითხოვს წმინდა პოლიტიკური მოსაზრება.

ამგვარათ ჩვენ ვუკავშირდებით ბურჟუაზიულ პარტიას მხოლოდ რეაქციის დასამარცხებლათ და არა იმიტომ, რომ ეს მასას რამე კლასიურ თვითშემეცნებას მისცემდეს.

როცა ეს საერთო გადაწყვეტილება ექნებათ ადგილობრივ ორგანიზაციებს, მაშინ მათი მოვალეობაა ადგილობრივი პირობები ღირსეულათ აწონ-დაწონონ, კარგათ დააფასონ, და კითხვაც ამ პირობების დაგვარათ გადაწყვიტონ.

აი, მთლათ ასეთ ტაქტიკას უნდა ვაწარმოვებდეთ ჩვენ მომავალი არჩევნების დროს. შემდეგისთვის ვეცდებით ეს აზრი უფრო ფართოთ გამოვთქვათ.

მუშა ხე—ხი.

# ახალი ამბები

გუშინ, ტფილისის სამოსამართლო პალატის სისხლის სამართლის 1-ლ განყოფილებაში გაირჩა საქმე პ. მასალკინისა, გაბო მაილოვისა, მსროლელთა მეორე ბატალიონის სალდათების—უნტერ-აფიცრის ივანე პოლონეცისა და ეფრეიტორ მოსე აბაშმაძისა, რომელთაც **ჯარში აგიტაცია და არალეგალურ ლიტერატურის გავრცელება ბრალდებათ**. საქე გარეშეთა დაუსწრებლათ გაირჩა. ნაშუადღევის 3 საათზე სასამართლოს თავმჯდომარემ გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც მასალკინი დამნაშავეთ იქმნა ცნობილი და ერთი წლით ციხეში დაპატიმრება მიესაჯა, ხოლო სხვები განთავისუფლებულ იქმნენ. ამ საქმის შესახებ უკანასკნელ განაჩენს სასამართლო 25 სექტემბერს, დღის 12 საათზე გამოაცხადებს.

✦ კავკასიის ნამესტნიკის კანცელარია თხოვს სინოდალურ კანტორას აცნობოს **სია იმ მღვდლებისა**, რომელნიც კანტორაში აღარ აძლევენ თავიანთ მრევლის მეტრიკის წიგნებს, რადგან ამ წიგნებს სახელმწიფოსთვის „დიდი მნიშვნელობა აქვსო“.

✦ 16 სექტემბერს, როგორც ჩვენ გაზეთში უკვე გვქონდა მოხსენებული, მოხდა **სხდომა** ტფილისის ქალაქის გამგეობის წევრთა და საბჭოს მიერ არჩეულ კომისიისა, რომელიც ქალაქის წყლის-საყვან მილების საქმეს განაგებს. ამ სხდომაზე განიხილეს ტეხნიკურ საბჭოს დასკვნა სხვადასხვა ფირმის მანქანებზე ავჭალის წყლისაყვან მილისათვის. სხდომაზე დაადგინეს გამოიწერონ პატერსონის სისტემის ორი მანქანა, რომელიც 49,000 მანეთი დაჯდება.

✦ სიღნაღიდან გვწერენ: 15 სექტემბერს, დღის სამ საათზე, როცა მაზრის უფროსი არნოლდი სამმართველოდან თავის სახლისკენ წავიდა, ქალაქის მოედანზე თავს დაესხა ვიღაც უცნობი და რევოლვერით მძიმეთ **დასჭრა**. დაჭრილია თავში, ორგან მუცელში და ფეხში. მსროლელი მიიმალა.

✦ **უსაქმოთ დარჩენილების** წარმომომადგენელთა წინადადებით გუშინ ქალაქის გამგეობამ დეპეშით თხოვა მოსკოვში ახლათ დაარსებულ საზოგადოების „შრომის ბირჟის“ გამგეობას გამოუგზავნოს ხსენებულ საზოგადოების წესდება.

✦ ჩვენ გადმოგვცეს შემდეგი: სალდათის ბაზარში ტრამვაის ვაგონზე ასულა მგზავრი ვიღაც შერმაზანოვი. რადგან ვაგონზე ადგილი არ ყოფილა, **კონდუქტორ ფალავას** იმის მაგიერ, რომ ზრდილობიანათ მიემართა მგზავრისთვის, ჩამოსულიყო, მივარდნილა და უდიერათ ცემა დაუწყია. კაი ხელობას კი დასდგომიან ჩვენი კონდუქტორები. ალბათ „ვინმესგან“ ისწავლეს ცემა.

✦ კათოლიკეთა ეკლესიის მღვდელ პავლე ყალაიჯევს გზაში შეხვედრია **ვიღაც ახალგაზდა** და მუშათა ორგანიზაციის სახელით განუცხადებია: „თუ დუქნების ქირა არ დაგიკლია, შავ დღეს დაგაყენებთო“.

✦ როგორც რუსული გაზეთები გადმოგვცემს, რუსეთის ზოგიერთ ადგილებში **დამსჯელ რაზმებს ისევ დაუწყია თავისი სამაგალითო მოღვაწეობა**. ჯერ-ჯერობით რამდენიმე კაცი დაუხვრეტიათ.

✦ სწორეთ საკვირველია, როგორ ხელობათ გადაიქცა **„შანტაჟისტობა“**. დღეს ცხოვრების ყველა ნაძირალებს და გარყვნილ ადამიანებს ხელზე დაუხვევია „კომიტეტი“ და ირაღის შეძენა“ და ვის გინდა წერილებს რომ არ სწერენ. ამ ბოლო დროს საბრალო ნოქრები ამოუღიათ მიზანში (ალბათ ფულიანები გონიათ). ჩვენ ხელთ ჩაგვივარდა ერთი უმზგავსო წერილი. წერილს სწერენ მარშანის მაღაზიის ნოქრებს ძმებ ბაშარულებს, თუ ოც ამ თვემდი ასი მანათი სოლოლაკში წყაროსთან, არ დაგიტოვებიათ, მოგკლავთო. ამაზე მეტი თავგასულობა იქნება?!

✦ **იაკობ გოგებაშვილი** გვთხოვს გამოვაცხადოთ შემდეგი: „ბუნების კარი“-ს უკანასკნელ გამოცემაში მოთავსებულია ლექსი „დედა და შვილი“ (გვერდი 267), რომლის ავტორათ შეცთომით დასახელებულია ქალადიდელი. ლექსი სილოვან ხუნდაძეს ეკუთვნის.

✦ გუშინვე გაირჩა საქმე **„ტალღის“** რედაქტორ-გამომცემლის ი. კარგარეთელისა, რომელსაც გადაუწყვიტეს ასი მანეთით დაჯარიმება. იცავდა ნაფიცი ვექილი გვაზავა.

✦ 21 სექტემბერს, ოლონეცკის გუბერნიის **ქ. პეტროზავოდსკში** ქუთაისიდან გზავნიან შემდეგ ტუსაღებს: მ. ლოლუაშვილს, პ. იოსელიანს, თ. ლალიაშვილს და ფ. სავინს.

✦ ამ დღეებში გამოვა ახალი ქართული გაზეთი „ქარიშხალი“.

✦ როგორც გაზეთი „ნაპერწკალი“ (№ 2) გადმოგვცემს, ამ დღეებში **ქუთაისში** ჩამოუყვანიათ 120 ინგუში, რომლებიც თურმე ქართველ სტრაჟნიკების ადგილზე უნდა დააყენონ.

✦ იმავე გაზეთის სიტყვით **ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიის** მეოთხე კლასის მასწავლებელ მარუტინსა და მოსწავლეებს შორის უთანხმოება ჩამოვარდნილა; მოსწავლეები თხოულობენ ბარუტინის გადაყენებას, რომელზედაც ოლქის მზრუნველი უარს აცხადებს თურმე.

✦ როგორც **ბათუმიდან** იტყობინებიან, ამას წინეთ იქ, პეტერბურგის ქუჩაზე კალ. ბახტაძის სავაჭროში 4 შეიარაღებული უცნობი შევარდნილა და ფული მოუთხოვია. ძალით გაუტაცნიათ 200 მანეთი და გაქცეულან, მაგრამ პატრულს დაუჭერია ერთი უცნობთაგანი, რომელიც აღმოჩნდა ერასტო კილაძე. კილაძეს 88 მანეთი აღმოსჩენია.

✦ **ქალაქის ამბები.** 15 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე, არტისტიულ საზოგადოების შენობის წინ „პურ-ღვინოს“ სასტუმროს ლაქიამ ნესტორ კაციტაძემ ჩხუბის დროს ხანჯლით მძიმეთ დასჭრა თადეოზ მეფარიძე, რომელიც საჩქაროთ მიხეილის საავათმყოფოში გაგზავნეს, მაგრამ გზაში გარდაიცვალა.—ამავე დღეს ნაშუადღევის 2 საათზე მე-3 ნაწილის მომრიგებელ მოსამართლის ოთახიდან ვიღაც შეიარაღებულმა უცნობმა ორი რევოლვერი გაიტაცა და მიიმალა.—ამავე დღეს, საღამოს 9 საათზე „პეტერბურგის“ ნომრებში, გეორგიევის ქუჩაზე, ხსენებულ ნომრებში მოსამსახურე ივანე თაყაიშვილმა და ი. ცაგარელმა დაიჭირეს ერთი ახალგაზდა, რომელსაც სასტუმროდან მონაპარი ნივთები უპოვეს. იგი აღმოჩნდა რაჭის მაზრის მცხოვრები მელიტონ სხირტლაძე.—15 სექტემბერს ვაგზლის ქუჩაზე ხუროშვილის მაღაზიიდან ვიღაც უცნობებმა 400 მანეთამდე ღირებული სხვა და სხვა საქონელი გაიტაცეს. ხუროშვილი ამ საქმეში ბრალსა სდებს ივანე პინჭარაძეს და ჟურანიაშვილს, რომელნიც უკვე შეიპყრეს.—ყვირილის ქუჩაზე თუჯის საწყობიდან 16 სექტემბერს მოუპარავთ რამდენიმე ნაჭერი სპილენძი 450 მანეთამდე ღირებულებისა.—ამავე დღეს ნაძალადევში ნახეს გვამი უმთავრეს სახელოსნოების ყარაულის იბრაგიმ-მაჰმედ-ოღლისა. მაჰმედ-ოღლი ქურდებს მოუკლავთ, რომელთაც სახელოსნოს კუთვნილ რამდენიმე შპალის მოპარვა დაუპირებიათ, მაგრამ ყარაულს არ დაუნებებია.—შაბათს, 16 სექტემბერს მთაწმინდაში, დავიდოვის ქუჩაზე ვასო ლეკიშვილს, რომელიც თავის სარდაფის წინ იდგა, ერთმა პორუჩიკმა უწმაწური ლაპარაკი დაუწყო, ბოლოს ლეკურიც იძრო და ის იყო უნდა დაერტყა ლეკიშვილისთვის, რომ ამ უკანასკნელმა იგი ააცალა. ამის შემდეგ პორუჩიკმა რევოლვერზე იტაცა ხელი, მაგრამ ლეკიშვილმა იგი გააგდებინა და ვიღაც უცნობმა გაიტაცა. ლეკიშვილს წინადადება მიეცა რევოლვერი პოლიციის სამმართველოში წარედგინა, წინააღმდეგ შემთხვევაში სარდაფის დაბეჭდვას დაემუქრენ. ამ წინადადებისამებრ მან გუშინწინ რევოლვერი უკვე წარადგინა პოლიციაში.

### ამხანაგ არშაკას დასაფლავება.

სოფელ ოქროყანაში (თფილ. მაზრა) გარდაცვალებული ამხანაგი არშაკა 12 ამ თვეს დაასაფლავეს. გასვენებას დიდძალი ხალხი დაესწრო. თფილისიდან. ცხედარს მრავალი წითელ ლენტებიანი გვირგვინება ამშვენებდა. მაგრამ აქაც მეუდროება დაგვირღვიეს არა მკითხე ბატონებმა. მოვიდა მაზრის უფროსის თანაშემწე თავის ჩაფრებით და გვითხრა: გუბერნატორის ბრძანებით აქ კაზაკებია გამოგზავნილი, რომ მიტინგი არ გაიმართოს და რადგანაც მე არ მინდა უბრალოთ სისხლი დაიღვაროს, გირჩევთ დაიშალოთო და სხვა... ბევრი ყაყანის შემდეგ ამხანაგები დაიშალენ. შემდეგ, თუმცა არა მკითხე სტუმრები—კაზაკები, მაინც მოვიდენ, მარა წესიერება არ დაურღვევიათ. ვიდრე მიცვალებულს სახლიდან სასაფლაოზე მივასვენებდით, კაზაკები იქვე იყვნენ, მარა, რომ დაინახეს დასაფლავება გვიანდებოდა, მოგვშორდენ და ქალაქისკენ გაემართენ. კაზაკების მოშორების უმალვე შეიკრიბა 150 კაცამდე, დასაფლავების დროს რამდენიმე ამხანაგმა სიტყვები წარმოსთქვეს და რევოლიუციონური სიმღერები იმღერეს. **ს. მალხაზიანი.**

# პროვინციის ქრონიკა

**ქართლიდან გვწერენ**, რომ ხმები, ვითომც ოსებსა და ქართლელებს შორის რაიმე მტრობა და შური ჩამოვარდნილიყოს, ყოვლად გვარ სიმართლეს მოკლებულია. მართალია ქართლელებს დაესხათ ერთი ოსი, მაგრამ ამბავს ოსები არა თუ აუღელვებია, პირიქით, კიდევაც იამათ, რადგან ოსებმა კარგა ხანია გაიგეს, რომ ხულიგანი და მოღალატე, გინდ უნდა იყოს ის, სასჯელის ღირსია. ჩვენსა და ქართლელებს შორის მკვიდრი მეგობრული განწყობილებაა და ტყუილათ ფიქრობენ აგ-ეგა ხულიგნები მტრობის დათესვას.

**ზუგდიდის მაზრიდან** გვატყობინებენ, რომ 12 სექ. წალენჯიხში მიმავალ ფოსტას თავს დასხმიან ყაჩაღები. ერთი მათგანი მოუკლავთ, ხოლო მეორე დაჭრილი გაქცეულა. მოკლული აღმოჩნდა ნესტორ გოგოხია.

**ს. ჩხოროწყუში** 13 სექტემბერს სასიკვდილოთ დაუჭრიათ მამასახლისი გვადა ახალაია. ეს მამასახლისი ცნობილი იყო ამ მხარეში როგორც ხალხის მოწინააღმდეგე და შემავიწროებელი გვამი.

**დ. ახალსენაკიდან** გვაცნობებენ, რომ 19 სექტემბერს იქ წაუყვანიათ მარტვილში ბოქაულის მიერ დაპატიმრებული: საშა ჩოჩია, დავით ასათიანი და გულა ღორთქიფანიძე. ჩოჩიას პროპაგანდისტობა ბრალდება, ასათიანს ამასი შენახვა, ხოლო ღორთქიფანიძის ქალს ქუთაისის ციხის პოლიტიკურ ტუსაღთა სასარგებლოთ ფულის მოგროვება. სამივე პატიმარი ადგილობრივ ციხეში ჩასვეს.

**დ. ტყიბული.** რკინის გზის სადგურის მახლობლათ ერთი ასეული „დიმცველი“ ჯარი სდგას. ჯარის კაცთა და სოფლელებს შორის რიგიანი განწყობილება იყო და ძარცვა-გლეჯას ადგილი არ ქონია. ბნელ ძალებს შეშურდათ საქმის ასეთი განწყობილება და 16 აგვისტოს დამით ვიღაცამ ორი ტყვიით ფეხში დასჭრა მორიგე დარაჯი. ამან სალდათების მხრივ რამდენიმე ზალპი გამოიწვია, თუმცა სროლას არავინ დაუზარალებია. ბოროტ-განმზრახველი ვერ იპოვეს. მეორე დღეს გაავრცელეს ხმა: კაზაკები მოდიან და სოფელს სულ აწიოკებენო. ამ ამბავმა ხალხი შეაშინა და როგორც დაბიდან, ისე სოფლებიდან ტყეებში გაიხიზნენ. მაგრამ როცა დარწმუნდენ, რომ არავითარი დამსჯელი რაზმი არ მოდიოდა, ისევ სახლებში დაბრუნდენ. ახლა ღამით ვაგზლის მახლობლათ გავლა ძლიერ საშიშია, რადგან აღნიშნულ ინციდენტის გამო სალდათები აღარავის ინდობენ.

# პროვინცია.

**თელავი.** 16 აგვისტოს თელავის უბნებში დიდი ჩხრეკა მოახდინეს. დილის ხუთ საათზე ქალაქის სხვა და სხვა ქუჩებში სირბილით მიდიოდენ თოფიანი სალდათები აფიცრებისა და პოლიციელების წინამძღოლობით, ალყას არტყამდენ სახლებს, შედიოდენ შიგ, მიუხედავათ იმისა, რომ სახლში მეტწილ ხშირათ ქალნი იყვნენ. ეს სირბილი იქამდის უცნაური იყო, რომ ზოგიერთება სახლიდან გარბოდენ ჩაუცმელები და შეკეთოთ სტოვებდენ. ზოგს განჩხრეკისათანავე აპატიმრებდენ და მიჰყავდათ სამაზრო გამგეობაში. სულ დაატყვევეს 36 კაცი და ქალი ამათში ხუთი საფილოქსერო პარტიაში მომუშავენი ერიენ. ისინი წინა ღამით დაბინავებულიყვნენ სასტუმროში. ორი კაცი იმიტომ დაიჭირეს, რომ ვისი დაჭერაც უნდოდათ, შინ არ აღმოჩნდნენ: ერთისა დედა იყო დაჭერილი, მეორისა მამა. დაჭერილები ცალ-ცალკე შეჰყავდათ ოთახში და კითხავდენ, თუ ვის რა აღმოაჩნდა გაჩხრეკის დროს. პასუხის შემდეგ უკანვე აბრუნებდენ. კითხვებს მაზრის უფროსი ბ. პუშკინი აძლევდა. შემდეგ გამოვიდა ბ. პუშკინი სიით ხელში და თით-თითოს ანთავისუფლებდა, მაგრამ ეს განთავისუფლებაც რაღაც თამაშს წააგავდა; ხან გამოუძახებდა ვისმე, შენ განთავისუფლებული ხარო, და შემდეგ ისევ უკან დააბრუნებდა, თან კი ოხუნჯობდა. არავის არც იარაღი აღმოჩენია და არც აკრძალული ლიტერატურა. გ. ხორსელოვის მამა თოხით ხელში დაეპატიმრებიათ. ალბათ თოხიც აკრძალულ იარაღთა სიაში ქონიათ შეტანილი! ადგილობრივმა ადმინისტრაცია საკუთარი თვალით ხედავდა, რაც ხდებოდა კახეთში და არავინ არ დაუპატიმრებია, რადგანაც არ იყო არავითარი საფუძველი დაპატიმრებისათვის. დაპატიმრებულთა შორის ყველა წოდებისა და კლასისანი ერიენ. ყველას აინტერესებდა, თუ ვინ იყო ამ უსაფუძვლო ჩხრეკისა და დაპატიმრებას მიზეზი. ზოგი ახლათ მოსულ მაზრის გამგე ბ. პუშკინს აწერდა. თვით ბ. პუშკინი კი ამბობდა, მე არაფერში არ ვურევივართ. ზოგის აზრით ეს იმათი საქმე იყო, ვისაც სამხედრო წესების შემოღება უნდოდა, ვინც ამ წესით ჟანდარმების გადიდებას ელის. ზოგიერთნი ადგილობრივ მემამულეებსაც კი აწერდენ ამ საქმეს. ოცდა თექვსმეტი კაცისაგან განთავისუფლეს 21, ხოლო თუთხმეტი მათგანი თელავის ციხეში წაიყვანეს. ამათში ერია გ. ხორსელოვი, შვილის გულისათვის დაპატიმრებული, კაცი მოხუცი და ავამთყოფი. ამისი გაშვება სთხოვეს მაზრის გამგეს და იმანაც შეიწყნარა.

თელავის ციხეში გაგზავნეს: ილია ზარაფიშვილი, გრიგოლ ტერ-არუთინოვი, ირაკლი გამყრელიძე, იოსებ ედიშერიძე, ანტონ ყაზახაშვილი, სიკო ბადრიძე, გიგო დამბაროვი, სარქისა ჯალალოვი, შაქრო ჩხუბიანოვი, ალექსი ფერაძე, არტემ გაბელოვი, ვანო ზურაბოვი და გიორგი მარქაროვი. რამდენიმე დღის შემდეგ მიუმატეს: იასონ ბობღიაშვილი, მიშა მაჟაშვილი, მიშა ყლენტი, გრიშა კოდოტაძე, იორდანე როსტომოვი და კოტე ყაზახაშვილი.

როსტომოვი დაიჭირეს იმიტომ, რომ 25 აგვისტოს ვითომ ბოქაულს ესროლა, მაგრამ, როგორც გამოძიებიდან აღმოჩნდა, თელავის ბოქაულს ეს თვითონ შეუთხზავს. 15 წლის ბავშვისათვის ძალზე უცემია და სროლა დაუბრალებია. როგორც ამბობენ ეს იმიტომ, რომ სამსახურში ფეხი მოსხლეტილი ქონია წასაქცევათ და გასამაგრებლათ გამოუგონია. ხერხმა კიდეც გასჭრა—ადგილზე გამაგრდა. 27 აგვისტოს პატიმართა თხოვნით მოვიდა ჟანდარმის როტმისტრი, რომელმაც თვითოეულის საქმე გამოიძია. გამოძიების დროს დასახელებული ბრალდებანი ისე უსაფუძვლო იყო, როგორც დაპატიმრება. როტმისტრმა გამოუცხადა მათ, რომ თქვენი საქმე შეიძლება გენერალ-გუბერნატორს გადაეცესო. 1 სექტემბერს გიორგი მარქაროვს გული გაუსკდა და მოულოდნელათ გარდაიცვალა. 8 სექტემბერს დილით ორ საათზე სამ ოთახში მყოფი პატიმრები, ზედამხედველებმა დააფეთეს ძახილით: ადექით ჩქარა ჩაიცვით, კანცელარიაში გიბარებენ, ციხე სავსეა ყაზახებით და სალდათებითო.

ამას დაუმატეთ, რომ ზედამხედველები აჩქარებით უზიდებოდენ ხელისა და ფეხის ბორკილებს. ჩაცმა არც კი დააცადეს, რომ ორ ორი მოითხოვეს კანცელარიაში, წყვილ-წყვილათ გადაბეს ხელის ბორკილებით. ფეხის ბორკილების გადასაბმელი რკინები (ზაკლიოპკები) არ აღმოჩნდა და ამ გარემოებამ ძალიან დაღონა მაზრის უფროსი ბ. პუშკინი და განსაკუთრებით კონვოის უფროსი ადგილობრივი ბატალიონის პოდპორუჩიკი ბ. ბალაბანოვი. 18 კაცი ხელის ბორკილებით წყვილ-წყვილათ გადაბმული დაამწკრივეს გუთნის ხარებივით ორ ნაბრად, გადააბეს თოკით ერთმანეთზე და გამოიყვანეს ციხიდან, უკან ერთი, კელტოთ, 60 წლის მოხუცი მოყვენეს. ტუსაღებს გარს 20 სალდათი ერტყათ, წინ 10 ცხენოსანი ყაზახი მიუძღოდა, ხოლო უკან 20 ცხენოსანი დრაგუნი. სანამ ხელის ბორკილებს გაუყრიდენ, ყველანი გაჩხრეკეს

---

და მოისპოს არეულობა, რომელმაც მთელი რუსეთი შეანძრია. ეს შეძლებული კლასი, ბურჟუაზია, მიხვდა, რომ თვითმპყრობელობა მას მეტ შევიწროებას აყენებს, ვიდრე ეხმარება მუშების და გლეხების გაყვლეფაში. ამიტომ ბურჟუაზია მომხრეა კონსტიტუციის და არსებულ მთავრობის ძალმომრეობის მოსპობის. მაგრამ ის, რასაც ეს პარტია ითხოვს მეფის თვითმპყრობელობის მაგიერ, ძალიან ნაკლებათ გავს თავისუფლებას. „ძლიერი მთავრობაო“, ამბობენ ისინი ყოველ ფეხის გადადგმაზე,—მთავრობა, რომელიც ხალხზე გაბატონებულია, მაგრამ კაპიტალისტებს და მემამულეებს კი უნდა ექვემდებარებოდეს—აი რა სურთ მათ. ძლიერ მთავრობას უნდა ხელში ეჭიროს გლეხები და მუშები, არ უნდა აძლევდეს მათ თავისუფლებას, რომელიც ქაღალდზეა გამოცხადებული, არ უნდა ანებებდეს თავისი ინტერესებისთვის ბრძოლას. ძლიერი მთავრობა რუსეთის ბურჟუაზიას უნდა ექვემდებარებოდეს და პოლონელების, ებრაელების, სომხების, ქართველების და სხვა ერების თავისუფლებას უნდა სრესდეს. ძლიერი მთავრობა კანონის მიხედვით უნდა მოქმედებდეს, მაგრამ კანონებს კი ბურჟუაზია უნდა თხზავდეს და სასტიკი უნდა იყოს, რომ მუშები და გლეხები „კანონით“ სასტიკათ ისჯებოდენ,—სამხედრო წესების დაუხმარებლათ. ერთი სიტყვით ისეთი ძლიერი მთავრობა, როგორიც იყო რუსეთში დასაბამიდან, მაგრამ მისგან სარგებლობა კი ბურჟუაზიის ჯიბეში უნდა ჩადიოდეს.

ცენტრის ბურჟუაზიული პარტიები სახელმწიფო წყობილების რეფორმების მომხრეა, მაგრამ მათ სურთ ამ რეფორმების განხორციელება ისე, რომ ხალხს ნაკლები შეღავათი მიეცეს. ამიტომ ისინი იცავენ ძლევამოსილ მთავრობას, როდესაც ის ებრძვის ხალხის მოძრაობას. ისინი ამბობენ, „თავისუფლება და საყოველთაო საარჩევნო უფლებაო“, მაგრამ როცა ხალხი ამ თავისუფლებისთვის იბრძვის, მაშინ ისინი დუბასოვებს უყვირიან, „ჯვარს აცვ ეგა“-ო.

დეკემბრის აჯანყების შემდეგ ცენტრის პარტიები დუბასოვების მიერ ჩადენილ საშინელებას კი არ ებრძოდენ, არამედ მადლობას უძღვნიდენ ხალხის ჯალათებს. ერთი ამ პარტიებთაგანი—„უფლებრივ წყობილების პარტია“—უფრო შორს წავიდა და მეტოქეობა გაუწია ხულიგნობაში „რუსეთის ხალხის კავშირს“. მან ხულიგანების და შავრაზმელების ორგანიზაცია შექმნა ხალხის ამოსაჟლეტათ. „ზომიერ“ თავისუფლების მომხრე პარტიიდან ის შავრაზმელთა და პოლიციელების პარტიათ გადაიქცა. დუმის არჩევნებზე „უფლებრივი პარტია“ გამოვიდა, როგორც ჩინოვნიკების პარტია.

სხვათა შორის არჩევნებზე „17 ოქტომბრის კავშირიც“ და „ვაჭრობა-მრეწველობის პარტიაც“ არ თაკილობდენ პოლიციის დახმარებას დუმაში თავიანთი წარმომადგენლების გასაყვანათ... მაგრამ, მიუხედავათ ყოველგვარ ხრიკებისა და ძალდატანებისა, გლეხებმა და მოქალაქეებმა არ მოისურვეს დუმაში არჩევა ამ „ზომიერი“ თავისუფლების მეგობრების, რომლებიც ზომიერი მათრახების თაყვანის მცემლები არიან. არჩევნების დროს თითქმის ყველა გუბერნიებში ოქტომბრისტები, ვაჭრობა-მრეწველობის და უფლებრივ პარტიის მომხრეები დამარცხდენ, 50—60 წარმომადგენელზე მეტი დუმაში ვერ გაიყვანეს.

ზ. ჩ—ეა

(შემდეგი იქნება).

და რაც რამ ქონდათ წაართვეს. უკანასკნელი თუთუნი, პაპიროსი, სავარცხელი, სპიჩკა და ასე წარმოიდგინეთ ნემსი და ძაფიც კი არ შეარჩინეს. და ასე ამგვარათ გაუშვეს გზას, როცა თელავი ისევ ძილში იყო.

შუა მთიდან დრაგუნები უკან დაბრუნდენ. გზაში არ აძლევდენ ნებას, რომ გადაბმულ პატიმრებს ერთურთთან ელაპარაკნათ, რა თქმა უნდა, გაფაციცებით ადევნებდენ თვალს, რომ არც უცხო დალაპარაკებოდათ. უფრო ჟამს თურმე აქეზებდა აფიცერი ბალაბანსკი სალდათებს, რომ სასტიკათ მოქცეოდენ პატიმართ. სალდათები ყველა როტებიდან იყვნენ არჩეულები, როგორც მათი წარწერა ამტკიცებდა. ამის მიუხედავათ 26 სალდათიდან მარტო 5 სალდათი ახარებდა აფიცრის გულს. უფრო წუთს დასძახოდა ცხენოსანი ბალაბანოვი ნაბიჯს უმატეთო, სალდათებიც მიდიოდენ რაც შეეძლოთ და ერეკებოდენ პატიმართ. ღამე გომბორის კაზარმებში დააყენა პატიმრები კაზარმის ცარიელ პოლზე, აგრეთვე მეორე ღამეს მუხროვანის კაზარმებში. მთელი ღამე პატიმარი გადაბმულები იყვნენ. ძნელი წარმოსადგენია რა წვალება იყო პატიმართა კარში გასვლა: ჯერ უნდა ეპოვნათ გასაღები, გამოეხსნათ პატიმარი, შემდეგ თოფიანი სალდათი უნდა მოსულიყო, ჩაებარებია, წაეყვანა და მოეყვანა, რომ ახლა მეორე გასულიყო. მოხუცი ზარაფიშვილი, რასაკვირველია, ყმაწვილ პატიმართ ფეხდაფეხ ვერ მისდევდა და თოკი ეწიმებოდა ჩამორჩენით. რა წამს ეს მოხდებოდა, მაშინვე თოფს მიუღერებდენ, თოკს ნუ სწიმავო. ფეხი რო ქვისათვის წამოეკრა ვისმე, ამასაც დანაშაულათ უთვლიდენ და ყველას თოფის კონდახით ემუქრებოდენ. მდინარეზე გასვლის დროს, სადაც ერთ კაცსაც კი გასვლა უძნელდებოდა, იქ ორიდი გადაჰყავდათ, რომ წყალში ჩაეცვივნულიყვნენ. ამას მოსდევდა გულიანი სიცილი და დიდის გინება კანვოის მხრით. ყველა ამ გაჭირვებას სძლიეს პატიმრებმა და ცოცხლებმა ჩამოაღწიეს მეტეხის ციხემდის, სადაც თავის შეფარება განთავისუფლებათ ჩათვალეს და იმდენი ღონე კიდევ შესწევდათ გახარებულებს, რომ ამღერეს თუშური სიმღერა, „ძირს ხულიგანებო“.

„ბუთნის დედა“.

## მუშათა შორის.

**ქუთაისის სტოლიარების ქარგალ-შეგირდთა გაფიცვა.** აგვისტოს პირველ რიცხვებში გაიფიცენ სტოლიარების ქარგალ-შეგირდები და თავიანთ ხაზეინებს მოთხოვნები წარუდგინეს. ხაზეინების ჯიუტობის მეოხებით გაფიცვა დღესაც არ გათავებულა, მხოლოდ რამდენიმე ხაზეინმა: თედორაძემ, დ. ფხაკაძემ, ნ. კოხრეიძემ, ე. ბერაძემ, პ. ლომთაძემ, ბ. ოურუმიძემ, კ. ჭინჭველეშვილმა, ს. ქებაძემ და ფ. ფილიპოვმა—მუშებთან მოლაპარაკების შემდეგ დააკმაყოფილეს თითქმის ყველა მათი მოთხოვნები: 1) რვა საათის სამუშაო დღე (მუშაობა გრძელდება დილის 7 საათიდან საღამოს 5 ს.) 2) მუშების მიღება-დათხოვნა თვით მუშების საქმეა. 3) ჯამაგირი უფრო შაბათს რიგდება. 4) გაფიცვისთვის არავინ დაისჯება. 5) ა) პოლიტიკური და ეკონომიური გაფიცვის დროს მუშებს ეძლევა ნახევარი ჯამაგირი. ბ) ორი კვირის წინ გაფიცვამდის მუშებმა უნდა წარუდგინონ ხაზეინებს მოთხოვნები.

შენიშვნა. ამ გაფიცვისთვის მუშებს ეძლევათ მხოლოდ ორი კვირის ჯამაგირი.

6) შეგირდებს მიეცემა დღეში ხარჯათ 25 კაპ. 7) აბანოსთვის, ტანსაცმელისთვის, გასკრეჭში და საპონისთვის 2 მ. 50 კაპ. ბინისთვის 1 მანეთი. 8) ძველი შეგირდების ვადა შემცირდეს სამ წლამდის, ახლის აყვანის ვადა განისაზღვროს ორ წელნახევრით. 9) 15 წლამდის შეგირდს არავინ ხიყვანს. 10) ავათმყოფობის დროს 1 თვეს ექიმობა ხაზეინის ხარჯზე. ადგილი შეენახება სამ თვეს. 11) შეგირდებს არ ამუშავებენ სახელოსნოს გარეშე საქმეზე. 12) ზრდილობიანათ მოეპყრობიან ყველას. 13) ყოველივე უთანხმოებას მუშებსა და ხაზეინებს შორის არჩევს სამედიატორო სამართალი თანასწორათ არჩეული ორივე მხარესაგან.

ზემო ჩამოთვლილ ხაზეინების სახელოსნოებში მუშები უკვე შეუდგენ მუშაობას. დანარჩენი ხაზეინები ჯერ-ჯერობით მუშების სამართლიან მოთხოვნების დაკმაყოფილებას არ ფიქრობენ.

**უცნობი.**

—

**ყაზაზების მუშათა** გაფიცვა დასრულდა და ხაზეინებმა დააკმაყოფილეს შემდეგი მათი მოთხოვნები: 1) სამუშაო დღე 8 ნახ. საათი; 2) ვისაც 6 მანეთამდე აქვს ჯამაგირი, მოემატოს 20 პროც., ვისაც 10 მანეთამდე—15 პროც., ხოლო ვისაც თუმანზე მეტი ეძლევა, მოემატოს 10 პროც. 3) აბანოს ფული თვეში ერთხელ. 4) მოისპოს ნაჭრობით მუშაობა. 5) წელიწადში ორი კვირის თავისუფლება ჯამაგირით. 6) მუშების მიღებ-დათხოვნა მუშებისავე საქმე იყოს. 7) ქარხნის დახურვის დროს მიეცეს მუშას იმდენი თვის ჯამაგირი, რამდენი წელიწადიც უმსახურია. 8) მოისპოს სახლში საქმის წაღება. 9) ზრდილობიანი მოპყრობა. 10) ავათმყოფობის დროს სამი თვით ადგილის შენახვა და ჯამაგირი.

—

**ოზურგეთის ნოქარ-შეგირდთა გაფიცვა.** აგერ მეთორმეტე დღეა გრძელდება. გაფიცვას რაც შეიძლება მტკიცე ხასიათი აქვს, მაგრამ ერთი და ორი მოღალატე რომ არ გამოერიოს, განა შეიძლება? გამოჩნდენ ისეთი გარეშე პირები, რომლებიც გაფიცულთა ადგილებს იჭერენ. ერთი მათგანი ცნობილი ფინკოვი გახლავთ, რომელიც ნამდვილი რეაქციის მერცხალია. ალიხანოვთან ერთად ისიც გაქრა, მაგრამ ახლა ისევ ამოეტუზა ახალ რეაქციას და სხვა რომ ვერა მოახერხა-რა, მზარეულობა იკისრა. ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ, რომ ხაზეინები ხშირათ აშინებენ პატარა მოსამსახურე ბიჭებს და ფარულათ სახლებში ამუშავებენ. მიუხედავათ ყოველგვარი შევიწროებისა, იმედი გვაქვს გაფიცვა სასურველათ დასრულდება.

—

**ხაშურის მუშათა და გლეხების გაფიცვა.** როგორც საზოგადოთ ხდება, ერთიმეორის შეცილებამ („კონკურენციამ“) ძლიან შეგვავიწროვა; ამით „ხაზეინები“ სარგებლობენ და თითქმის მუქთათ გვიხდება მუშაობა და ტვირთის გადაზიდ-გადმოზიდვა. ამიტომ, ჩვენ ხაშურის გლეხები და მუშები შევიკრიბენით, ვიქონიეთ მსჯელობა და დავადგინეთ შემდეგი ნიხრი: 1) გუთნეული, რვა უღელი ხარკამეჩით, შემოდგომაზე 7 მანეთი, გაზაფხულზე-კი 8 მანეთი. 2) კავი ზაფხულზე 1 მან. 60 კაპ. შემოდგომაზე-კი 1 მან. 20 კაპ. 3) ერთი ვაგონი ხე-ტყის მასალის ვაგზლამდის მიტანა 10 მან. 4) ერთი ვაგონი სურსათის ანუ სხვა რისიმე დაცლა 4 მ. 50 კაპ. 5) ვაგზლიდან აბრამაშვილის დუქნამდის ურმით რუმბის გადმოტანა 30 კაპ. ბოჭკის—იქამდინვე 40 კაპ. 6) იმ პირთ, რომელთაც ნარდათ აქვთ აღებული რკინის გზაში სხვა და სხვა ტვირთის გადატან-გადმოტანა, ნება არა აქვთ კერძო საქმის აღებისა. 7) რკინის გზის „მატერიალნი სკლადიდან“ ტვირთის გადმოტანაში კერძო პირმა უნდა აიღოს. 40 კაპ.

შენიშვნა. სახლის ნივთების გადატან-გადმოტანა (მოსამსახურეთა და სხვათა) 40 კაპ.

8) სურამში ურემი ტვირთის ჩატანა 1 მან. 60 კაპ. 9) ბორჯომში, ფუთი ტვირთის ჩატანა 10 კაპ.

შენიშვნა. კერძო პირებს, სხვა უცხო სოფლის მუშას ვერავინ დაუშლის მუშაობას.

10) ხორცის ამოტანა „ბოინიდან“ 40 კაპ.

შენიშვნა: ზემო აღნიშნული ნიხრი ძალაში შედის დღიდან გაზეთში გამოცხადებისა.

გლეხების მონდობილებით „გრაფ“.

## რუსეთის ამბები

—

**რას ფიქრობს ბიუროკრატია?** მინისტრთა საბჭო ერთობ დაუფიქრებია საგლეხო რეფორმის საქმეს—ვაი თუ საზღვარს გადავცდეთ და საქმე გავიფუჭოთო. ძირითად კანონების ძალით სახელმწიფო მიწების გაყიდვის შესახებ კანონი დუმამ და საბჭომ უნდა დაამტკიცოს. ერთმა მინისტრმა ეჭვის თვალით შეხედა საქმეს და განაცხადა, შეიძლება დუმამ არ მოიწონოს ჩვენი გადაწყვეტილებაო. აგრარულ კითხვის მცოდნეს—თავად ვასილჩიკოვს უნუგეშებია კრება—დუმა ამის თანახმა გახდება, რადგან გლეხებისთვის სასარგებლოა მიწის საკუთრებათ შეძენაო. ვასილჩიკოვის აზრს ვერ დაუმშვიდებია მინისტრება, მაგრამ შემდეგ მოგონებით, რომ „დუმის დროს ჩვენ მაინც არ ვიქნებით სამსახურშიო“. ახლო მომავალში გამოაქვეყნებენ მთავრობის განცხადებას გლეხების მიმართ. ამ განცხადებაში აღნიშნული იქნება ის ზომები, რომლითაც მთავრობა გლეხების დაკმაყოფილებას ცდილობს. განცხადებების გავრცელებას დიდი ენერგიით შეუდგებიან. იმედი აქვთ, რომ გლეხები დამშვიდდებიან და არჩევნების დროს მთავრობას მხარს დაუჭერენ.

**მონარქისტების მზადება.** ზოგიერთ მონარქიულ ორგანიზაციებს საჩუქარი დაუნიშნავთ, ვინც აგიტაციურ თხზულებას დასწერს. ამბობენ, რომ ამ საქმის მეთაურობა დ. დუბროვინმა იკისრა და მიზეზი ის არის, რომ „პატრიოტების“ თხზულებები ისე ცუდათ ყოფილა დაწერილი, რომ მიზანს სრულიად ვერ ახწევს.

**შავრაზმელები სოფლებში.** ნიჟნი-ნოვგოროდის ახლო-მახლო სოფლებში შავრაზმელები აუარებელ მოწოდებებს ავრცელებენ; ეს მოწოდებები ვიბორგის მანიფესტს და გლეხების მიმართ გამოცემულ მოწოდებას გავს. პროკლამაციაში ნათქვამია, რომ სახელმწიფო სათათბიროში სახალხო თავისუფლების პარტიის წევრებმა ათი-ათასი მანეთი დღიური ქირით მოაწყვეს „ვერაგული ხაფანგი,“ რომ რუსეთის ხალხის ხმამ მეფემდე არ მიაღწიოს. მაგრამ—სწერენ შავრაზმელები—„თქვენ, გლეხებმა, მრავალი თქვენი განაჩენებით მხარი დაუჭირეთ მთავრობის მაღალებას. სათათბიროს ყოფილმა წევრებმა—სახალხო თავისუფლების პარტიის და „მშრომელთა“ ჯგუფის წევრებმა, გლეხების დეპუტატებს გარდა, მეფეს ომი გამოუცხადეს. სათათბირო ურიებისგან იყო ამორჩეული და ამიტომ მეფემ გარეკა ის. ახლა დანამდვილებით გამოირკვა, რომ ჩვენებური უკიდურესი პარტიები იაპონელებისაგან ღებულობდენ ფულებს, გამოირკვა, რომ იაპონიის ყოფილი ელჩი აკაში ფინლანდიელ მეამბოხის ცილლიაკუსის და ქართველ მოღალატე დეკანოზის შემწეობით იარაღს ურიგებდა აჯანყებულებს შვეიცარიაში—სულ 25 ათასი თოფი და სამი მილიონი პატრონა დაარიგეს. დუმის შეამბოხეებმა მხოლოდ ტუჩებზე წაუსვეს ხალხს მიწა და თავისუფლება“.

პროკლამაცია შემდეგი სიტყვებით თავდება: „ძირს ხალხის მტრებო“ და ბოლოს აწერია „სახელმწიფო სათათბიროს უპარტიო წევრების გლეხებისაგან“.

სრულიად რუსეთის კავშირი სტაროობრიადცებისა, სახალხო პარტია მშრომელ გლეხებისა, მემამულე გლეხების პარტია, ხელოსნების კავშირთა კავშირი, სრულიად რუსეთის რკინის გზის კავშირის პარტია, თათარ მემამულეების კავშირი, სრულიად რუსეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

გლეხები ასეთ მოწოდებებს ხვევნდა ზიზღით ერიან თურმე. ამ საქმეს მეთაურობენ თურმე ნოვგოროდელი მღვდელი და რეალურ სასწავლებლის ზედამხედველი. კავშირისათვის „თეთრი დროშის“ სახელი მიუციათ. ეს კავშირი ურიების წინააღმდეგ ფურცლებს ავრცელებს თურმე ტრაქტირებში, სადაც დარიბი ხალხი იყრის თავს.

**ცენზურის აღდგენას ისევ ცდილობენ.** როგორც სტახტო გაზეთებს გაუგიათ, მთავრობას თურმე განზრახვა აქვს განსაკუთრებული ინსპექციები შემოიღოს იქ, სადაც სამხედრო წესებია გამოცხადებული. ინსპექციამ თვალყური უნდა ადევნოს გაზეთებს და სანამ დაიბეჭდებოდეს, უნდა გადაიკითხოს.

**პროფესორის გადასახლება.** პროფესორ ტირასპოლსკის ტომსკში გადასახლებას უპირებენ იმისთვის, რომ მას ფარულათ ცხოვრება ბრალდება. ნამდვილათ კი პროფესორი უკანასკნელი ერთი თვე პეტერბურგში ყოფილა, პოლიციაშიც ყოფილა ჩაწერილი და დატუსაღების წინ მინისტრის ამხანაგთანაც კი ყოფილა რაღაც საქმეების შესახებ.

**დამსჯელი რაზმები** ისევ შემოუღიათ ქალაქ რიგაში. ამ ბოლო დროს რამდენიმე კაცი დაუხვრეტიათ. ციხეების ზედამხედველები სრულაში იწამებიან თურმე.

**ფაბრიკანტების კავშირი.** ცენტრალურ სამრეწველო რაიონის ათი გუბერნიის კაპიტალისტებს კავშირი შეუდგენიათ. ფაბრიკანტებს მიზანია გაფიცვების წინააღმდეგ იბრძოლონ. კავშირის წესდებაში სხვათაშორის ლოკაუტიც არის მოხსენებული, ე. ი. ფაბრიკების დახურვა. ერთი საქარხნო ინსპექტორი წინააღმდეგი ყოფილა ამის—ეს ზომა მუშებს აღელვებსო, მაგრამ საკრებულოს გადაუწყვეტია: თუ მუშები იბრძვიან, რატომ ხაზეინებმაც არ უნდა ებრძოლონ მუშებსო.

**მღელვარება საშუალო სასწავლებლებში.** საშუალო სასწავლებლებში ისევ დაწყებულა მღელვარება. ყაზანში პირველ გიმნაზიიდან 28 მოსწავლე გამოურიცხავთ. მეორე გიმნაზიის უმაღლესი კლასები დაუხურავთ. მესამე გიმნაზიის დირექტორს გამოუცხადებია მოსწავლეებისათვის, თუ ურიღობას გამართავთ პოლიციას მოვიწვევო. დაუხურავთ რეალური სასწავლებელი და კარებში პოლიცია დაუყენებიათ.

## ღია წერილი

მოგეხსენებათ, გაზეთი „შრომა“ დაიკეტა, მიზეზათ დამტარებლების ეკონომიურ გაფიცვას (მარტო ჯამაგირების მომატება მოითხოვეს) ასახელებენ. მაგრამ არა მგონია, რომ მართლა ეს პატარა გაფიცვა ყოფილიყოს მიზეზი გაზეთის დაკეტვისა. მიზეზი მხოლოდ რედაქციის წევრების დიდი ხნის სურვილი იყო გაეწმინდათ რედაქცია და გაზ. ასოთ-ამწყობნი მათთვის არას სასურველ ელემენტებისაგან (ე. ი. სხვა პარტიის წევრებისაგან). დიდი ხანია ემზადებოდენ, ელოდენ შემთხვევას, მაგრამ აქამდის ვერა გააწყეს რა. ეხლა იხელთეს დრო და შეუდგენ თავიანთ მიზნის შესრულებას. შეადგინეს ამხანაგობა თავიანთ პარტიის წევრთაგან, ზოგიერთი ასოთ-ამწყობებიც სხვა და სხვა ქალაქებიდან დაიბარეს და აპირებენ ამ მოკლე ხანში გაზეთის გამოშვებას.

ესეც ზნეობრივ სიფაქიზე, და მუშათა ინტერესების ვითომდა დამცველებისა, ქალაქში მუშები უადგილოთ უნდა იყვნენ, და სხვაგნიდგან კი იბარებენ მუშებს მარტო იმისთვის, რომ ულუკმა-პუროთ დარჩენილი მუშები სხვა პარტიას თანაუგრძნობენ; მუშათა ინტერესებიც ამასვე თხოულობს, არა, მკითხველო?

ეხლა მოგმართავთ თქვენ, განსვენებულ გაზ. „შრომის“ რედაქციის წევრებო, და გთხოვთ მიპასუხოთ შემდეგ კითხვაზე: 1) როდის იყო, რომ ჩვენს (ე. ი. გაზ. „შრომის“ ასოთ-ამწყობთა) მუშაობას გაზეთზე, პარტიული ხასიათი ჰქონდა? 2) რას გეუბნებათ გულისთქმა მაშინ, როცა ტფილისში მუშები უადგილოთ დადიან და თქვენ კი სხვაგნიდან გამოიწერეთ ასოთ-ამწყობები? 3) რას ნიშნავს თქვენი ასეთი საქციელი და ან ნიშნავს თუ არა იმას, რომ მუშას უთხრა: თუ მიიღებ ჩვენს მცნებას—გამუშავებ,—თუ არადა, შიმშილით მოკვდი, არ მენაღვლებაო?

დონ—ქარ.

## წერილები რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

სამწუხაროთ ამ ბოლოს დროს გლეხებში საჩივარი ისმის წით. რაზმელების ბოროტ მოქმედებაზე. მართლაც და რეაქციის გამძვინვარების გამო დაფანტული და პარტიას ჩამოშორებული რაზმი შეიძლება ბევრგან შეუგნებლათ მოქმედებდეს და ხანდისხან ისეთი საზიზღრობაც გამოუდიოდეს ხელიდან, როგორიც არის ამხ. ნიკა მინდიაშვილის ვერაგულათ მოკვლა, მაგრამ ყველა ის ბოროტებაკი, რასაც „წითელ რაზმს“ აბრალებენ, მართალი არ არის. ვინ არ იცის, რომ დღეს ყველა ქვებუდანი, გაიძვერა, ქურდ-ბაცაცა, ყაჩაღი და თვით მთავრობისაგან შემოჩენილი პროვოკატორებიც-კი წით. რაზმის სახელით სარგებლობენ.

მოვიყვანთ მაგალითს: ერთი ამნაირ ქურდების და ყაჩაღების ხელმძღვანელი ბრძანდებოდა ფონის მთის „ობიეზდჩიკი“ ვასილი (იგივე „ვანიჩკა“) მელაძე. ეს გაიძვერა დიდხანს გველაქუცებოდა ჩვენ; ზოგჯერ „მეტის სიყვარულით“ ხარჯსაც-კი გვიზიდავდა და ხშირათ გვინახულებდა ხოლმე. ეს იმისათვის უფრო სჭირდებოდა, რომ გაეგო, სად ვიყავით და ან სად წასვლას ვაპირებდით. და როცა ჩვენ ერთ მხარეზე დაგვიგულებდა, იმას მეორე მხარეზე მიჰყავდა თავისი „ამხანაგები“ ხალხის ასაკლებათ. ჩვენ როცა გავიგონებდით ხოლმე წით. რაზმელებს ასეთი საქმე ჩაუდენიათო, ვკვირობდით და არ ვიცოდით ასე საძაგლათ ვინ არცხვენდა ჩვენ სახელს.

ხულიგან-პროვოკატორმა მელაძემ აღარ იკმარა თავისი ამხანაგებით ხალხის აკლება და ჩვენც-კი გვირჩევდა, რომ გლეხები იძულებული გაგვეხადა, ღალები და ტყის ბაჟები მიგვეცემინებინა მემამულეებისთვის. აქ კი მივხვდით, რომ ის შემოჩენილი პროვოკატორი იყო და ჩვენზე ხალხის გადამტერება სურდა. ამასთანავე გამოირკვა ყველა მისი „საქმენი საგმირონი.“ რაკი იმანაც (მელაძემ) ალლო აგვართვა, შეშინდა და ახლა პოლიციის „პურ-მარილით“ გვიპირებდა გამასპინძლებას...

ამ წერილით ჩვენა გვსურს გავაფრთხილოთ ჩვენი გაფანტული რაზმელები.

რაზმელების მონდობილობით რ.

## დეპეშები

(პეტერბურ. დეპეშათა სააგენტო).

16 სექტემბერი.

**პეტერბურგი.** საგანგებო დაცვის წესების ძალით გრადონაჩალნიკმა შეაჩერა გაზეთი „პერედომ“-ი.

**ვლადივასტოკი.** გემ „ლოკმურ“-ით ვლადივასტოკიდან ჩიფუში გაგზავნეს 75000 ფუთი ფქვილი, რომელიც საინტენდანტო სამართველომ გაგზავნა სანიმუშოთ. როცა საქონელი ჩიფუში მივიდა და გახსნეს, შიგ ფქვილის მაგიერ 41 ფუთი ბოთლი, 3 ძველი ცული, სამი ვედრა არაყი, და სხვა და სხვა ნაგავი ნახეს. მეორე ადგილას აღმოჩნდა კავკასიური ხანჯლები, ხმლები და დანები. საქონლის წასაღებათ მოსული ქართველები დაიჭირეს.

**სარატოვი.** ეკლესიიდან მოიპარეს 15 ფუთიანი ზარი.

**ადესა.** უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში ამერიკაში, კანადაში და არგენტინაში 2500 ებრაელი გადასახლდა.

**ბელასტოკი,** უცნობი, რომელმაც თავის თავს ალექსანდრე უწოდა, გოროდოვოის მოკვლის განზრახვისთვის, სამხედრო-საველე სასამართლოში მისცეს.

**მოსკოვი.** მოვიდენ 17 ოქტომბრის კავშირის პეტერბურგის ცენტრალურ კომიტეტის წევრები გრ. გეიდენი და მილიუტინი, ეუწყოვთან მოსალაპარაკებლათ ცენტრალურ კომიტეტების მომავალ კრების შესახებ. კურსკის საოლქო განყოფილებამ სასურველათ სცნო პროგრამის შეცვლა. „მშვიდობიან განახლების“ პარტიასთან შეერთების საკითხი მომავალ სრულიად რუსეთის სიეზდამდე გადაიდო.

**ძიეცი.** დახვრიტეს დუდა და ვრონა, რომლებსაც სამხედრო-საველე სასამართლომ მკვლელობისა და გაძარცვისთვის სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა.

**კიშინევი.** სოროკსკის მაზრის სოფელ მენდიკში მოკლეს მემამულე ოგანოვსკი. მკვლელები მიიმალენ. ეჭვი მისულ მუშაზე მიიტანეს.

**ბახმუტი.** სატურინის ვოლოსტში რვა ბოროტგამზრახველი თავს დაესხა მემამულე პლეშეევს, მოკლეს ღამის დარაჯი, შეკრეს სტოროჟები და მემამულე, გაიტაცეს 1900 მანეთი და მიიმალენ.

**უმანი.** რუსთა კავშირმა სტოლიპინისაგან შემდეგი მინაარსის დეპეშა მიიღო: „სულით და გულით მადლობას გიძღვნით ჩემი ოჯახის უბედურობის გამო ნუგეშის ცემისთვის“.

**ჰელსინგფორსი.** წინანდელი დეპეშა შეცთომით იყო გადმოცემული. ვიმეორებთ: მემარჯ. ს სწრაფის აღმოჩენის დროს დაიჭირეს ლუსტო, წითელ გვარდიის უფროსი და ნიუმანი, გაზეთ „არბეტარეს“-ს ყოფილი რედაქტორი.

**რიაზანი.** ვლადიმირის გზის ახლო სადგურზე ხუთი შეიარაღებული უცნობი შევიდა არტელჩიკ პეტროვის სახლში, წაართვეს 600 მანეთი და გაიქცნენ.

**ბელასტოკი.** უცნობი, რომელმაც თავის თავს სლავიანსკი უწოდა, სტეფანე ვიხანსკი აღმოჩნდა. სამხედრო-საველე სასამართლომ მას ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა. ის დღეს დილით ჩამოახრჩვეს.

17 სექტემბერი

**ვილნო.** გუშინ საღამოს რადომის ქუჩაზე უცნობებმა გოროდოვოის თავზე ტომარა ჩამოაცვეს, წაართვეს რევოლვერი და გაიქცნენ.

**ჰელსინგფორსი.** გუშინ ნაშუადღევს, როცა სალდათების რაზმი დაბრუნდა, სადგურზე გაჩერდენ ახალგაზდა—სოციალისტთა პარტიის მომხრეები, ააფრიალეს დროშა, რომელზედაც ეწერა; „ძირს მილიტარიზმი, ძირს ომი“-ო. პოლიციამ მოინდომა ბრბოს გაფანტვა. წაართვეს დროშა. შეტაკების დროს დაიჭრა სამი კაცი, მათში ორი მძიმეთ. დაიჭირეს ერთი.

**რეველი.** გლეხ აუგუსტ ლინდრორს სამხედრო-საველე სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა.

**პეტერბურგი.** გრადონაჩალნიკმა ნება დართო კადეტებს 17 ოქტომბერს ადგილობრივ გამართონ დელეგატების კრება ახალ კომიტეტის ასარჩევათ.

**პერმი.** გუშინ გაძარცვეს სახელმწიფო შემნახველ-გამსესხებელი კასა. წაიღეს 3000 მ.

**ზემლიანსკი.** აგრარული მოძრაობა გათავდა.

**მიტავა.** თავად-აზნაურობამ გადასწყვიტა გადადონ 120,000 მანეთი ტერორისტებისაგან თავის დასაცველათ.

**ადესა.** უნივერსიტეტში 2675 სტუდენტი მიიღეს.

**კოსტრომა.** პოლიციამ აღმოაჩინა 4 ფუთი პიროქსილინი, რომელიც ამ ზაფხულ გემ „მაკარიევა“-ზე მოიტანეს. მძარცველების კვალს მიაგნეს.

**კრონშტადტი.** დღეს დროებით სამხედრო-სასამართლომ მატროსების აჯანყების შესახებ რეზოლიუცია გამოიტანა, რომლითაც დუმის ყოფილ წევრს ონიპკოს ყოველივე ღირსების ჩამორთმევა და სამუდამოთ გადასახლება მიუსაჯეს, სამი გლეხი გაამართლეს. მატროსებში 19 გადაუწყვიტეს დახვრეტა, 12-ს უვადო კატორღა; 24-ს—20 წლის, 7-ს—15 წლის; 8-ს—10 წლის; 60-ს—6 წლის; 22-ს—4 წლის; 429-ს—ტუსაღთა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა. გაამართლეს 129 კაცი. განაჩენი დასამტკიცებლათ წარუდგინა გენერალ ადლერბერგს. ქალაქში სიწყნარეა.

**კოსტრომა.** კოშინემსკის მაზრის ოსიპლოვსკის ვოლოსტის გლეხებში ამ ბოლო დროს აგრარული მოძრაობა დაიწყო; მოძრაობა იმან გამოიწვია, რომ გლეხებში აგიტაციას ეწეოდენ არ გადაეხადათ სახელმწიფო გადასახადი და არ მიეცათ სალდათები. მღვდელმა აუხსნა ხალხს რაშიაც იყო საქმე და გლეხებიც დაწყნარდენ. გლეხები მოუწოდებენ მღვდელს ერილობებზე, რომ მან საბუთებით დაამტკიცოს აგიტატორების სიყალბე.

**ბაქო.** ამიერ კავკასიის რკინის გზის გენერალ-გუბერნატორმა სამხედრო-საველე სასამართლოების შემოღება გამოაცხადა,

**გავანა.** ამერიკის მთავრობა დაეპატრონა კუბას. სამხედრო მინისტრმა თავის თავი გუბერნატორათ გამოაცხადა და თან დასძინა, რომ ამერიკის მთავრობის მხოლოდ წესიერების აღდგენა უნდა, სანამ მუდმივი მთავრობა შესდგებოდეს.

**მანჰეიმი.** სოციალ-დემოკრატიულმა სიეზდმა, ს.-დემოკრატიულ პარტიის თავმჯდომარეო ბებელი და ზინგერი აირჩია. შემდეგ ზინგერმა კრება დახურა.

**ვაშინგტონი.** სამხედრო სამინისტრომ რუზველტისაგან ბრძანება მიიღო გაგზავნოს კუბაზე 6000 ჯარის კაცი.

რედაქტორ-გამომცემელი **ერ. ჩანტლაძე.**


## განცხადებანი

სკოლა და სახელოსნო ჭრა-კერვისა და ხელსაქმისა

ანა მერკვილაძისა

იღებს ქალთა ტანისამოსს შესაკერათ, იღებს შეგირდებს ჭრა-კერვის და ხელსაქმის შესასწავლათ ყველასათვის ხელმისაწვდომ ფასებში.

მამადავითის ქუჩა, გრიგორაშვილის სახლებში, ბალის პირდაპირ, № 37. (10—1).


ელექტრო-მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“, ტფილისი, მიხეილის ქუჩა.